პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 9 ივნისი, 1950 წ. № 121 (8681). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

იზრდება მშვიდობისათვის მებრძოლთა აქტივობა — „პრავდის" 8.VI მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი მისალმებათა ნაკადი (მე-2 გვერდი).
კომკავშირისადმი ხელმძღვანელობა გადაჭრით უნდა გაუმჯობესდეს (მე-2 გვერდი).
ზესტაფონელი მეტალურგები მეტი ლითონისათვის იბრძვიან (მე-2 გვერდი).
კომბაინერები საათობრივი გრაფიკით იმუშავებენ (მე-3 გვერდი).
ა. კოკილაშვილი — სიმღერა ქვეყანაზე და მეგობრობაზე (მე-3 გვერდი).
სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივი ორგანოები უკეთესად უნდა მუშაობდნენ (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

იზრდება მშვიდობისათვის მებრძოლთა აქტივობა

უკანასკნელი კვირეები აღინიშნა ახალი დიდმნიშვნელოვანი მოვლენებით, რომლებიც მოწმობენ მშვიდობისათვის მებრძოლთა მზარდ აქტივობას და ორგანიზებულობას.

მშვიდობის მომხრეთა მძლავრი მოძრაობის შემდგომი გაშლების საბრძოლო ამოცანები აქტიურად განიხილეს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასკომის ბუდაპეშტში ამას წინათ შემდგარ სესიაზე, რომელმაც მიმართა ყველა ქვეყნის მშრომელთ ხელი მოაწერონ მოწოდებას ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ, გადაჭრით ამხილონ ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა ხრიკები.

მაისის დამლევს ბერლინში მოეწყო სრულიად გერმანიის ახალგაზრდობის შეკრება და მშვიდობისათვის ახალგაზრდა მებრძოლთა გერმანიის კონგრესი. სრულიად გერმანიის ახალგაზრდობის შეკრებაზე ბერლინში შეკრებილმა შვიდასი ათასმა ჭაბუკმა და ქალიშვილმა ცხადყო თავისი მტკიცე გადაწყვეტილება იბრძოლოს ერთიანი დემოკრატიული მშვიდობისმოყვარე გერმანიისათვის, სამართლიანი ხანგრძლივი მშვიდობისათვის, ომისგამჩაღებელთა წინააღმდეგ. ემზადებოდა რა შეკრებისათვის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ახალგაზრდობამ შეაგროვა 8 მილიონი ხელმოწერა მოწოდებაზე ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ. ამ მოწოდებაზე მილიონობით ხელმოწერა შეგროვდა დასავლეთ გერმანიაშიც.

მისალმებაში თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური საბჭოსადმი ამხანაგი სტალინი წერდა:

„ვუსურვებ გერმანელ ახალგაზრდობას, ერთიანი დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიის აქტიურ მშენებლებს, ახალ წარმატებებს ამ დიდ საქმეში".

ამხანაგ სტალინის მისალმებამ, რომელსაც უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობა და გერმანიის ყველა მშრომელი, გამოიწვია გერმანელი ხალხის ახალი მტკიცე გადაწყვეტილება გააძლიეროს ბრძოლა მშვიდობისათვის, მშვიდობისმოყვარე ხალხთა თანამშრომლობის განმტკიცებისათვის.

მშვიდობის მომხრეთა მძლავრი ფრონტი დღითიდღე იზრდება და მტკიცდება. ამას დამაჯერებლად მოწმობენ სტოკჰოლმის მოწოდებაზე ხელმოწერის შეგროვების კამპანიის პირველი შედეგები, რაც შეჯამებულ იქნა მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის ბიუროს ლონდონში ამასწინათ დამთავრებულ სესიაზე. ატომური იარაღის აკრძალვისათვის კამპანია მშვიდობისათვის დიდი საყოველთაო-სახალხო კენჭისყრის სახეს იღებს. დედამიწის ყველა კუთხეში კეთილი ნების უკვე ას მილიონზე მეტმა ადამიანმა მოაწერა ხელი სტოკჰოლმის მოწოდებას.

ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ მოწოდებაზე პირველი ასი მილიონი ხელმოწერა სერიოზული ლახვარია ომის გამჩაღებლებისათვის, მრისხანე გაფრთხილებაა იმპერიალისტებისათვის, რომლებიც ამზადებენ თავისუფლებისმოყვარე ხალხთა დამონებისა და მილიონობით უდანაშაულო ადამიანის გაჟლეტის დანაშაულებრივ გეგმებს.

დიდია მამობილიზებელი ძალა მუდმივი კომიტეტის მოწოდებისა ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ. სტოკჰოლმის მოწოდებამ მშვიდობის მომხრეებს ხელთ მისცა მძლავრი საშუალება დარაზმონ მშვიდობის დასაცავად აქტიური მოქმედებისათვის ხალხის მასების უდიდესი ძალები. მოწოდება გახდა ის პლატფორმა, რომლის საფუძველზეც ერთიანდებიან სხვადასხვა რასისა და ეროვნების, პოლიტიკური შეხედულებისა და სარწმუნოების ადამიანები, ყველა, ვინც ნამდვილად ისწრაფვის მშვიდობისაკენ.

აძლევენ რა ხელმოწერის შეგროვების კამპანიას მასობრივ ხასიათს, მშვიდობის მომხრეები სულ უფრო გადაჭრით გლეჯენ ნიღაბს იმათ, ვინც სიტყვით ფიცულობს მშვიდობისადმი ერთგულებას, საქმით კი მხარს უჭერს ომის გამჩაღებლებს. სტოკჰოლმის მოწოდებისადმი დამოკიდებულება ცხადჰყოფს თითოეული საზოგადო, პოლიტიკური, კულტურის მოღვაწის ნამდვილ სახეს, მის პოზიციას მშვიდობისათვის ბრძოლაში. ყოველივე, რაც კი საუკეთესო, მოწინავე, პატიოსანია, უცხო ქვეყნების საზოგადო, პოლიტიკურ და კულტურის მოღვაწეთა შორის, უერთდება მშვიდობის მომხრეებს, რომლებიც იბრძვიან ატომური იარაღის აკრძალვისათვის.

მშვიდობისათვის აქტიურ მებრძოლთა რიგებში დგებიან სხვადასხვა ქვეყნის გამოჩენილი საზოგადო და კულტურის მოღვაწეები. მაისის დამლევს რომში მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის იტალიის კომიტეტის ინიციატივით მოეწყო ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლთა, პარლამენტის წევრთა, მეცნიერთა, ხელოვნების, ლიტერატურის, პრესის მოღვაწეთა კრება, რომელიც მიეძღვნა ატომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლას. ამ კრებაზე იტალიის საზოგადოებრიობისა და კულტურის გამოჩენილ წარმომადგენელთა დიდი ჯგუფი შეუერთდა მოწოდებას ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ და მოუწოდა იტალიის მოქალაქეებს ჩაებან მშვიდობისათვის აქტიურ ბრძოლაში. ცნობილი იმის შესახებ, რომ მუდმივი კომიტეტის მოწოდებას უერთდებიან ახალი გამოჩენილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები, სხვა ქვეყნებიდანაც მოდის.

მაგრამ მშვიდობის მომხრეები ვერ დაკმაყოფილდებიან სტოკჰოლმის მოწოდებაზე ხელმოწერის შეგროვების კამპანიის პირველი შედეგებით. მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანაა მშვიდობისათვის აქტიურ ბრძოლაში ჩაბას მსოფლიოს ყველა ქვეყნის მშრომელთა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეთა უდრესად ფართო ფენები. მშვიდობისათვის, ატომური იარაღის აკრძალვისათვის ბრძოლაში არ შეიძლება ნეიტრალური იყო.

კეთილი ნების ყველა ადამიანი ერთიანდება მასობრივი მოსპობის ყველაზე ბარბაროსული იარაღის აკრძალვისათვის ბრძოლაში. ყველა, ვინც ნამდვილად ისწრაფვის მშვიდობისაკენ, უყოყმანოდ მოაწერს ხელს მუდმივი კომიტეტის მოწოდებას. ამ პირობებში ზოგიერთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწის, ინტელიგენციის წარმომადგენელთა ცდა დაიკავონ „ნეიტრალური" პოზიცია თანამედროვეობის ძირითად საკითხში, არ შეიძლება განხილულ იქნეს სხვანაირად, თუ არ როგორც ხელის შეწყობა მშვიდობის მტრებისათვის, რომლებიც ამზადებენ მილიონობით ბავშვისა და ქალის ატომური ბომბებით გაჟლეტის ავაზაკურ გეგმებს. მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის ბიუროს ლონდონში მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნულია: „დღეს წყდება კაცობრიობის ბედის საკითხი. თითოეული მამაკაცისა და ქალის წინაშე ორი გზაა. სტოკჰოლმის მოწოდება უეჭველობას შესაძლებელს ხდის მშვიდობის გზით წავიდეს".

პარლამენტებმა და საპარლამენტო ჯგუფებმა, აკადემიებმა და მათმა განყოფილებებმა, პროფკავშირთა ხელმძღვანელმა ცენტრებმა, მწერალთა გაერთიანებებმა, კულტურის მოღვაწეებმა და სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა — ამ ხელმძღვანელი ორგანოების ყველა წევრმა, რომელიც პატიოსნად ისწრაფვის მშვიდობის განმტკიცებისაკენ, ხელი უნდა მოაწეროს მუდმივი კომიტეტის მოწოდებას ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ. იმათ კი, ვინც უარს ამბობს ხელი მოაწეროს მშვიდობისადმი მოწოდებას, მშვიდობის მომხრეები მოთხოვენ საჯარო განმარტებას, ვინაიდან ხალხებს სურთ იცოდნენ, ვისთან არიან მეცნიერებისა და კულტურის წარმომადგენლები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეები, — ისინი მშვიდობისათვის იბრძვიან თუ ომის გამჩაღებელთა ხელშემწყობნი არიან.

ამას წინათ ავსტრიის მთავრობამ განიხილა სტოკჰოლმის მოწოდების საკითხი და აშკარად გამოვიდა ამ მოწოდებაზე ხელმოწერის შეგროვების მასობრივი კამპანიის წინააღმდეგ. ამრიგად, ავსტრიის მთავრობამ თავი გვიჩვენა ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა მომხრედ, მთელი მსოფლიოს წინაშე წარსდგა უნიღბოდ იმპერიალიზმის სამსახურში მყოფი ლაქიის არასახარბიელო როლში. მთავრობის ასეთმა პოზიციამ ავსტრიის ყველა პატიოსანი ადამიანის დიდი აღშფოთება გამოიწვია. მშვიდობის მომხრეთა ავსტრიის საბჭომ თავის განცხადებაში პროტესტი გამოთქვა მთავრობის გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომელმაც აკრძალა სტოკჰოლმის მოწოდებაზე ხელმოწერის შეგროვება. ომის გამჩაღებელთა ხრიკების საპასუხოდ მარტო ვენაში რამდენიმე დღეში შეგროვდა ასი ათასი ხელმოწერა მოწოდებაზე ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ.

ომის გამჩაღებლების ხელშემწყობთა მხილება, საზოგადოებრივი აზრის სამსჯავროს წინაშე მათი გამოყვანა მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა.

ატომური იარაღის აკრძალვისათვის კამპანიის მძლავრი განვითარება ომის გამჩაღებელთა სულ უფრო მეტ გაბოროტებას იწვევს. ცდილობენ რა ხელი შეუშალონ ამ საყოველთაო-სახალხო მოძრაობის გაშლებას, მშვიდობის მტრები მიმართავენ ყველაზე საზიზღარ საშუალებებს. ისინი გამოსცემენ დრაკონულ კანონებს მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის წინააღმდეგ, საპყრობილეში ყრიან მშვიდობისათვის აქტიურ მებრძოლებს, აწყობენ ბინძურ პროვოკაციებს იმათ წინააღმდეგ, ვინც ხელი მოაწერა სტოკჰოლმის მოწოდებას ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ. ომის გამჩაღებლები მშვიდობის მომხრეთა წინააღმდეგ ბრძოლაში სულ უფრო ფართოდ იყენებენ თავიანთ ერთგულ ლაქიებს — მემარჯვენე სოციალისტებს და ტიტოელ ჯაშუშთა და მკვლელთა საზიზღარ ბანდას.

მაგრამ ომის გამჩაღებელთა ვერავითარი რეპრესიები და პროვოკაციები ვერ შეაჩერებენ მშვიდობისათვის მებრძოლთა დიდ მოძრაობას. ხალხები სულ უფრო გადაჭრით ამხილებენ იმპერიალისტურ ავანტიურას, მშვიდობის მტრების ხრიკებს უპასუხებენ თავიანთი რიგების უფრო მეტი შემჭიდროებით და მშვიდობისათვის ბრძოლის გაძლიერებით.

მიმდინარე წლის ოქტომბერში გენუაში მოეწყობა მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესი. ყველა ქვეყნის მშვიდობის მომხრეები კონგრესისათვის ემზადებიან მშვიდობისათვის მებრძოლთა ორგანიზებული ფრონტის შემდგომი განმტკიცების ნიშნით, ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლის აქტივიზაციის ნიშნით. მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესისათვის სტოკჰოლმის მოწოდებაზე ახალ ასეულ მილიონობით ხელმოწერის შეგროვება, მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის მოსახლეობის ახალი ფენების, ახალი პირების, ახალი ორგანიზაციების ჩაბმა მშვიდობისათვის მებრძოლთა წმინდა ვალია.

ფართოდ გავშალოთ, უფრო ორგანიზებული და აქტიური გავხადოთ საყოველთაო-სახალხო მოძრაობა მშვიდობისათვის, ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ. ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლა და მშვიდობის დაცვა მსოფლიოს ყველა ხალხის საქმეა!

„პრავდის" 8/VI მოწინავე

ჩვენს რესპუბლიკაში

★ ★ ★

გარდამავალი დროშა მარნეულის წყალთა მეურნეობის სამმართველოს

მარნეულის წყალთა მეურნეობის სამმართველომ (უფროსი ინჟინერი მ. ნიშნიანიძე) გასულ წელს საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვა და წლიური სახელმწიფო გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით 123 პროცენტით შეასრულა.

ასეთი მიღწევის გამო აღნიშნულ სამმართველოს მიეკუთვნა საკავშირო პროფსაბჭოსა და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა, აგრეთვე პრემია 30.000 მანეთის რაოდენობით. ამავე მაჩვენებლებისათვის საქართველოს მკ-ების და სამიწათმოქმედო ორგანოების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტრომ იმავე სამმართველოს მიაკუთვნა რესპუბლიკური გარდამავალი დროშა და პრემია 6.000 მანეთი.

მარნეულის წყალთა მეურნეობის სამმართველოს მუშაკთა კოლექტივს გარდამავალი დროშები საზეიმო ვითარებაში გადასცა საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრმა ამხ. ი. ლალიძემ.

მასწავლებელთა ახალი კადრი

დუშეთი. (საკ. კორ.). ოც წელზე მეტია არსებობს დუშეთის პედაგოგიური სასწავლებელი. ამ ხნის განმავლობაში მან საშუალო მისცა 526 ახალგაზრდა მასწავლებელი, რომლებიც წარმატებით მუშაობენ დუშეთის და სხვა რაიონების სკოლებში. ბევრმა მათგანმა უმაღლესი პედაგოგიური განათლებაც მიიღო და ახლა თავდადებულად მუშაობს ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის.

წელს პედაგოგიურ სასწავლებელს დაამთავრებს 25 ახალგაზრდა, რომლებიც სამუშაოდ წავლენ ხევსურეთის, მთიულეთ-გუდამაყრის, ფშავის სასოფლო სკოლებში.

ახალი მშენებლობანი

ხირსა. (საკ. კორ.). ყოველწლიურად დიდდება ლ. პ. ბერიას სახელობის ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის საბინაო ფონდი. მარტო მიმდინარე წელს აქ აშენებულ იქნა 12 მუშათა საცხოვრებელი ბინა, მუშათა კლუბი, სასადილო და სავაჭრო მაღაზია.

ზრუნვა სამამულო ომის ინვალიდებისა და ომში დაღუპულთა ოჯახებისათვის

თელავი. (საკ. კორ.). მშრომელთა დეპუტატების თელავის რაიონული საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებამ მიმდინარე წლის 4 თვის განმავლობაში სამამულო ომის ინვალიდებს 121.000 მანეთი მისცა პენსიების სახით, ომში დაღუპულთა ოჯახებს კი 683.238 მანეთი. გარდა ამისა, სამამულო ომის ინვალიდებმა და ომში დაღუპულთა ოჯახებმა კოლმეურნეობებიდან დახმარების სახით მიიღეს 7.900 კილოგრამი მარცვლეული.

სამგორის სახალხო მშენებლობაზე

ხაშურლების შრომითი სიმამაცე

სამაგიეროდ დარჩება ქართლელი და კახელი კოლმეურნეებისათვის, მათი შთამომავლებისათვის, რომ საქართველოს ახალი, აყვავებული და ყველა დოვლათით შემკობილი მიწის — გაცოცხლებული სამგორის ძველ ისტორიულ ადგილზე — ნორიოს ხევის ყელში დიდ დიუკერს მათ ჩაუყარეს საფუძველი ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ბოლო წლის, 1950 წლის ივნისის პირველ რიცხვებში.

აქ სამი ხერის და ორი ღელის კალაპოტის გაჭრა იყო საჭირო ისეთი ღრმა ჭრილით, რომ ზოგან სამსართულიანი სახლი სახურავიანად დაიფარება. ხაშურელმა, თელაველმა და ქარელელმა კოლმეურნეებმა გაარღვიეს ამ ადგილას ნორიოსხევის ყამირი.

ხაშურლებს აღმოსავლეთით ჰქონდათ მიზომილი სამუშაო უბანი. ათასზე მეტი რჩეული კოლმეურნე ჩამოვიდა ხაშურის რაიონიდან იმისათვის, რომ სამგორის სახალხო მშენებლობაზე თავი ესახელებინათ, ნაკისრი სამუშაო მოკლე დროში შეესრულებინათ და არათუ ჩამორჩენოდნენ თელაველ მოძმეებს, ან ქარელელ მეზობლებს, არამედ მათთვის მხარი დაემშვენებინათ.

კოლმეურნეებმა დაკვრით შეუტიეს უმოძრაობით დამძიმებულ ყამირს და სრულ ოთხ დღეში შეასრულეს მიწის სამუშაო. განსაკუთრებული შრომითი სიმამაცე გვიჩვენეს სოფელ ზემო ოსიაურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობიდან ჩამოსულებმა, რომელთაც კოლმეურნეობის თავმჯდომარე ისაკ ტუშიაშვილი ხელმძღვანელობდა. კოლმეურნეთა შორის კარგი მუშაობით გამოირჩეოდნენ ირაკლი ბუხრიკიძე და მიხეილ ენუქიძე.

ორგანიზებულად და მაღალნაყოფიერად იმუშავეს სოფელ ქვემო ოსიაურის შვერნიკის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა, რომელთაც საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის მდივანი სიმონ მეტივიშვილი ჰყავდათ ხელმძღვანელად. ამ კოლმეურნეობიდან ჩამოსულთა შორის თავი განსაკუთრებით გამოიჩინეს გრიგოლ ზუდაძემ და მიხეილ დაბრუნდაშვილმა.

მოწინავეთა რიგებში იყვნენ აგრეთვე: სოფელ ალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობიდან — დავით გვარამაძე (ხელმძღვანელი), ნიკო და ვახილ ნოზაძეები, იაგორ თევზაძე, სოფელ გომის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობიდან — იოსებ ხეთაგური (ხელმძღვანელი), ვასილ გოგოლაძე, დიმიტრი შიუკაშვილი და მიხეილ გაფრინდაშვილი, სოფელ ტეზრის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობიდან — გიორგი გვარამაძე (ხელმძღვანელი), ნიკო აბიაშვილი, არჩილ აბრამაშვილი და ვახტანგ ხოლუაშვილი და სოფელ ტკოცის კოლმეურნეობა „წითელი ლაშქრიდან" ჩამოსულნი, რომელთაც ამავე კოლმეურნეობის თავმჯდომარე იასონ ლომიძე ხელმძღვანელობდა. ამ კოლმეურნეობის წევრთაგან მუშაობაში გამოირჩეოდნენ გიორგი გაგნიძე, ნიკო კილაძე და გრიგოლ შუბითიძე.

• • •

ხაშურელთა წარმატება სამგორის სახალხო მშენებლობაზე, ისიც არახელსაყრელ ამინდში, აიხსნება მათი კარგი ორგანიზებულობით. კოლმეურნეებთან იყვნენ პარტიის ხაშურის რაიკომის მდივანი ამხ. გრ. ფოფხაძე, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. პ. კუბლაშვილი, ინჟინერი ი. ხაბაძე და სხვები. მათ შეძლეს მუშაობის ისე მოწყობა, რომ მიუხედავად უამინდობისა, კოლმეურნეებმა ვადამდე შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება. სამგორის მშენებლობის უფროსი, ინჟინერი ა. გაბუნია და მთავარი ინჟინერი ა. ყიფშიძე ხაშურელთა მუშაობას კარგ შეფასებას აძლევენ.

აქვე აღსანიშნავია ის ინიციატივა, რომელიც ხაშურელთა მეზობლად მომუშავე თელაველმა კოლმეურნეებმა გამოიჩინეს. ეს არის სამგორში რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსულთა ამხანაგური შეხვედრების მოწყობა, დასვენების დროს საუბრების გამართვა ერთმანეთისათვის გამოცდილების გასაზიარებლად.

ხაშურის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლებს დიდხანს არ დაავიწყდებათ კახეთის ერთ-ერთი კუთხის — თელავის რაიონის მშრომელებთან სამგორში მოწყობილი შეხვედრა.

დ. ლომთაძე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის აღსანიშნავად

ვადამდე შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება

ავჭალა. (სპეც. კორ.). ავჭალის შუშის ქარხნის კოლექტივი მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით ხვდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიას. განსაკუთრებით დაწინაურდნენ შუშის მბერავთა ვლ. ივანიშვილის და შუშის ამომღებთა ვლ. სვინტიცკის ბრიგადები, რომლებმაც მაისში გეგმის გადამეტებით ათასობით ბოთლი გამოუშვეს, გასწიეს მასალის მნიშვნელოვანი ეკონომია და გააუმჯობესეს პროდუქციის ხარისხი.

შუშის მბერავ ვლ. ივანიშვილის ბრიგადა 1 ივნისიდან უმაღლესი საბჭოს სესიის აღსანიშნავ სტახანოვურ ვახტზე დგას და დიდი გადაჭარბებით ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას. ბრიგადის ყოველდღიური მაჩვენებელი 150 პროცენტზე მეტია, ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 120 პროცენტისა.

ქარხანაში დიდი რაოდენობით ამზადებენ თხევად მინას, რომელიც ფართოდ გამოიყენება თამბაქოს წარმოებაში, ელექტროშედუღების, მშენებლობისა და სხვა საქმეში. თხევადი მინის გამოშვებაზე საუკეთესო წარმატებებს აღწევს ვ. ადამაშვილის ბრიგადა. ბრიგადის ვალდებულება იყო სესიის მოწვევის დღის — 12 ივნისისათვის შეესრულებინა ნახევარი წლის გეგმა. ფაქტიურად ბრიგადის წევრებმა შრომის სწორი ორგანიზაციით და სამუშაო დროის რაციონალური გამოყენებით 1 ივნისისათვის ნახევარი წლის გეგმა გაანაღდეს და გამოუშვეს მთლიანად საუკეთესო ხარისხის პროდუქცია.

ქარხანაში დიდი მუშაობა მიმდინარეობს შუშის დამყალიბებელი ახალი მექანიზებული მანქანის დასადგმელად, აგებენ სპეციალურ ღუმელს, მიღებულია ზომები მანქანის ასათვისებლად საჭირო კადრების მომზადებისათვის.

ახალი მანქანის ამუშავება მკვეთრად გაადიდებს ქარხნის წარმადობას, გაათავისუფლებს მუშახელს და თვალსაჩინოდ შეამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას.

სტახანოველ პ. ბოყოველის ნარმატება

ჭიათურა. (საკ. კორ.). ჭიათურელი მაღაროელები ახალი საწარმოო მიღწევებით ხვდებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიას. განსაკუთრებული თავდადებით მუშაობს კაგანოვიჩის სახელობის მაღაროს ორგზის ორდენოსანი სტახანოველი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი პ. ბოყოველი. მან მაისში გეგმის გადაჭარბებით ამოიღო 770 ტონა მარგანეცი და თვიური გეგმა 251 პროცენტით შეასრულა. ამხ. ბოყოველმა მაისში 5.518 მანეთი გამოიმუშავა.

სახელმოხვეჭილი სტახანოველი ივნისში უფრო მაღალნაყოფიერად მუშაობს. ივნისის პირველ ხუთდღიურში მან დავალება 280 პროცენტით გაანაღდა.

სოციალისტური შრომის გმირები

ა. ს. ბენაშვილი

ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის" მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 3,1 ჰექტარი ფართობის თითეულ ჰექტარზე 28,4 ცენტნერი „ტრაპიზონის" ჯიშის თამბაქოს მოყვანისათვის.



მ. ს. ლუცუბიძე

თელავის რაიონის კოლმეურნეობა „მოწინავის" მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 3,5 ჰექტარი ვენახის თითეულ ჰექტარზე 108 ცენტნერი ყურძნის მოყვანისათვის.

გ. ნ. თანდილაშვილი

ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „შრომის" მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 3 ჰექტარი ფართობის თითეულ ჰექტარზე 28,9 ცენტნერი „ტრაპიზონის" ჯიშის თამბაქოს მოყვანისათვის.



მ. ი. მეძველიშვილი

გურჯაანის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 3 ჰექტარი ვენახის თითეულ ჰექტარზე 101 ცენტნერი ყურძნის მოყვანისათვის.

კ. ო. კასპარიანი

გულრიფშის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 6 ჰექტარი ფართობის თითეულ ჰექტარზე 23,9 ცენტნერი № 27 „სამსუნის" ჯიშის თამბაქოს მოყვანისათვის.

ს. ა. ალიევი

მარნეულის რაიონის კოლმეურნეობა „სოციალიზმის" მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 8 ჰექტარი ფართობის თითეულ ჰექტარზე 29,1 ცენტნერი „ტრაპიზონის" ჯიშის თამბაქოს მოყვანისათვის.

მისალმებათა ნაკადი

ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების სამოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით მისალმებანი გამოგზავნეს და ამხანაგ სტალინს გულთბილად უსურვეს ჯანმრთელობა და მრავალ წელს სიცოცხლე:

ქ. მინსკის საფეიქრო არტელ „პროლეტარის“ წევრებმა;

ეოლელისეს ოლქის ოზარიჩის კავშირგაბმულობის რაიონული ელერტრის მუშაკებმა;

ქ. რიგის ტექსტილინის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივებმა;

ალუმინიკაროს მეტალის სანაოსნოს ბაქის გემთმშენებელი სახელოსნოების მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივებმა;

სტალინგრადის ოლქის ტორმოსინის რაიონის კოლექტივნოს „ლენინის კონის“ წევრებმა;

ბენზის ოლქის ბეგნინდიმანსკის რაიონის სელინინსა-სამანაო მუშაკთა კოლექტივებმა;

სამხრეთ-დასავლეთი რკინიგზის საგზო სამგალო-ვინეკოლოგიური საავადმყოფოს სამეფიანი მუშაკთა კოლექტივმა;

კრასნოიარსკის მხარის სოფელ ძერჟინსკოს პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სხდომამ;

სტალინის ოლქის იამის რაიონის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სხდომამ;

ქ. ზაპოროჟიეს მე-5 საბჭოთა საინფექციო საავადმყოფოს ექიმებმა, სანიტარებმა და მოსამსახურეებმა;

კრასნოიარსკის მხარის ბაღლეფის მტა-ის მუშა-მოსამსახურეებმა;

კემერეოვოს ოლქის ლენინსკ-კუზნეცკის რაიონის „ლენინგეფალის“ საბჭოთა მეურნეობის მუშაკთა, მოსამსახურეთა და სპეციალისტთა კოლექტივებმა;

ჩუვაშეთის ასსრ მშრომელთა დეპუტატების იალჩიკის რაისაბჭოს მეთაე სესიამ;

ტრუნე „აზნეფუტაგოსტროისა“ № 6 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მუშაკთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივებმა;

ვეტსკის ოლქის გრაიგორონის რაიონის ბ. ბორკას სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ლენინის ოლქის ლოკაჩის რაიონის ფოროშაილოს სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ბაშკირეთის კეფების მრეწველობის ტექნიკუმის მოსწავლეებმა, მასწავლებლებმა და თანამშრომლებმა;

ბარაოოს ქალაქის მე-4 ბოლკლინიკის, მე-11 საავადმყოფოს და ქალთა პირველი კონსულტაციის სამეფიანი მუშაკებმა;

ბარაოოს ოლქის დეტერჩინოს რაიონის სოფელ ბუდიონოფსკის კოლეტეერნეო და ინტერნაციონალის კრებამ;

ბრანსკეინის ოლქის გოროდიშჩის რაიონის კიროვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებმა;

როსტოვის ოლქის ვერხნე-მაკეევკის მტა-ის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ბარაოოს ოლქის ნოვო-დოლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ბარაოოს ოლქის ლენინოოის რაიონის კოლმეურნეობის „მეორე ხეთნოდეესოფის“ წევრებმა;

ვოლინის ოლქის ქ. ვლადიმირ-ვოლინის № 1 სამაგვარო ბაღის ბავშვებმა და აღმზრდელებმა;

ვოლინის ოლქის ლოკაჩის რაიონის კოლმეურნეობა „8 მარტის“ წევრებმა;

ბანტა-ბანსნიისკის ნაციონალური ოკრუგის მაქოილის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ქ. ტრანსპოლის ბუშანის სახელობის ქალთა სკოლის კოლკაშორეულები, პიონერებმა და მოსწავლეებმა;

მოლდავეთის სსრ სოროკის ბაზეი „კრასნოე ზნამიას“ რედაქციის კოლექტივმა;

ვოლინის ოლქის ვლადიმირ-ვოლინის რაიონის კოლმეურნეობა „მოსკოვის“ წევრებმა;

ბარაოოს ოლქის ბელზეკეის რაიონის კოლმეურნეობა „ხერეინა ტურნეიკას“ წევრებმა;

როსტოვის ოლქის კოსტანტინოვკის რაიონის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ეისკის თევზის მრეწველობის სასწავლო-სატესტო კომბინატის კურსანტებმა, მასწავლებლებმა და მოსამსახურეებმა;

ნოვოსიბირსკის ოლქის ტატარსკის რაიონის ნოკოლეკეის მტა-ის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ქვანაზრნის მრეწველობის სამინისტროს უკრაინის ეკონომიური-სამეცნიერო ინსტიტუტის მუშაკთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კოლექტივებმა;

დონის შამპანური ღვინოების კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი, ქ. დონის როსტოვი;

მოლდავეთის სსრ კეფების მრეწველობის სამინისტროს ედინეეცის რაიონის კეფების კომბინატის მუშაკთა, მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კოლექტივები;

პინსკის ოლქის პინსკის რაიონის სტეკოკის სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა კოლექტივებმა;

ალმა-ნეელესკის ოლქის პინეგის რაიონის „წითელი ვარსკვლავის“ სახელოსნის კოლმეურნეობის წევრებმა;

სარატოვის ოლქის ქ. ბალაშოვის № 4 სამაგვარო ბაღის მუშაკთა და ბავშვთა კოლექტივი;

როსტოვის ოლქის კიროვის სახელობის სახელოსნო-სამეურნეო არტელის წევრებმა;

სტალინგრადის ოლქის მოლოტოვის რაიონული საავადმყოფოს სამედიცინო მუშაკთა კოლექტივებმა;

ვიტებინსკის ოლქის ლენიგრაანის რაიონის არტელ „ნოვეეტლის“ წევრებმა;

ბარაოოს ოლქის საბჭოთა მეურნეობა „კომინტერნის“ მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

როგენოს ოლქის ბოლშაროს რაიონის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის გამეგობრებმა;

ქ. ფალეშტის მოდოკაანი შვიდწლიანი სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა კოლექტივმა;

დასავლეთ ყაზახეთის ოლქის ტურგაევის რაიონის ჯანბაეკის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

როსტოვის ოლქის მარტინოვის რაიონის ტარასინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

მოლდავეთის სსრ გრიგორიოპოლის რაიონის ტალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

როსტოვის ოლქის კრასნოგვარდეისკის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ოქტობრის“ წევრებმა;

მოგილიოვის ოლქის მოგილიოვის რაიონის კოლეეურნეობა „კომინტერნის“ წევრებმა;

გორკის სახელმწიფო ფილარმონიის კოლექტივმა;

ტატარსპბაეის ავტენტის ქარხნის მუშაკთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივებმა;

ნაფთის მრეწველობის სამინისტროს „ეკვატორეფტესტბიტის“ უკრაინის რესპუბლიკური სამმართველოს მუშაკთა კოლექტივმა;

ბერიაკა-მონლოოეთის ასსრ ჯიდის რაიონის კოლეეურნეობა „სოციალიზმის“ წევრებმა;

მოლდავეთის. ოლქის ოერატეროვის რაიონის ეფანოვის სახელობის კოლეეურნეობის წევრებმა;

ტომსკის ოლქის კოლეეზნოკოვის რაიონის კოლ-მეურნეობა „ვიკიანანოს“ წევრებმა;

ბერიაკა-მონლოოეთის ასსრ ჯიდის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „ბალნჩის“ წევრებმა;

სარატოვის ოლქის ბალტაის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ბენზის ოლქის პოიმის რაიონის ნეკეეკენის სასოფლო საბჭოს პოშენინის სახელობის კოლ-მეურნეობის წევრებმა;

ხტალინგრადის ოლქის ოლხოოკის რაიონის კოლკეეურნეობა „კომეეზნბის გზის“ წევრებმა;

კუხსკის ოლქის სტრეფეეკის რაიონის კოლ-მეურნეობა „მოლოდნი კომეზნის“ წევრებმა;

ალტაის მხარის ბაბაჩსკის რაიონისა კოლმეურნეობა „სამეზნოა გზის“ წევრებმა;

სამარადნდის ოლქის კომსომოლსკის რაიონის ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებმა;

ბაშკირიაზეთის სსრ ზანგეელინის რაიონის ტელ-მანის სახელობის კოლეეურნეობის. წევრებმა;

ხარკოვის ოლქის ვოლჩანსკის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა კრებამ;

ყირიმის ოლქის ლენინის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის გზის“ წევრებმა;

დალეტნის ასსრ დოკუზპარინის რაიონის კარლ მარქსის სახელობის კოლეეურნეობის წევრებმა;

ბაბატა-მონლოოეთის ასსრ კუდარის რაიონის კაგანოვიჩის სახელობის კოლეეურნეობის წევრებმა;

ბენზის ოლქის ნეჩაევის რაიონის კოლმეურნეობა „შრომის კავშირის“ წევრებმა;

„როსტოხბტუტესტის“ კონსულტანტიაკის თევზის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ბეკენის ქარხანა „ჯენიგიოლის“ მუშა-მოსამსახურეებმა;

ბეკენის დაწყებითი სკოლის „ჯენსინის“ მოსწავლეებმა;

ბინეფის კომპარტიის ბეკენის საქალაქო კომიტეტმა;

სრულიად ჩინეთის დემოკრატ ქალთა ასოციაციის ბეკენის განყოფილებამ;

ხებეის (ჩინეთი) პედაგოგიური ინსტიტუტის მასწავლებლებმა და სტუდენტებმა;

ჩინეთის ცენტრალური სახალხო რადიოსადგურის მუშა-მოსამსახურეებმა;

ანანანის (ჩინეთი) ქალაქების ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებმა;

ოაპაკის შტატის (შეეს�ა) სოფელ მონტელოგოსის 19 გლეხმა ინდოელმა;

ოაპაკის შტატის (შეესinა) კომუნისტური პარტიის ტალაოჩოის ადგილობრივმა კომიტეტმა;

ბაკიის პროვინციის (ტალია) 40 ათასმა კოლმეურნემ;

ბაკიის (ტალია) ფაბრიკა „ვინალიას“ მუშა-მოსამსახურეებმა;

ბოლარატის (ტალია) „კარმანატი რივოლის“ მოსამსახურეებმა და მუშაკნმ;

იტალიელ ქალთა კავშირის რომის ადგილობრივმა ორგანიზაციამ;

ფერარის პროვინციის (ტალია) 120 ათასმა ლარიმა ბლეხმა;

იტალიის კომპარტიის ტურინის სოლენო კომიტეტმა;

ტამბოვის ოლქის რეკაკოის რაიონის 8 მარტის სახელობის კოლეეურნეობის წევრებმა;

როსტოვის ოლქის სულიანინოვკის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „მე-17 პარტკონგრესის“ წევრთა საერთო კრებამ;

ვოლინის ოლქის ბოლოოვინსკის რაიონის კოლ-მეურნეობა „კომეეზნბის გზის“ წევრთა კრებამ;

როსტოვის ოლქის მატვეეევკურგანის რაიონის სტალინის სახელობის კოლეეურნეობისა და კოლეეურნეობა „ლენინის ალეფრძნის“ წევრებმა;

ტულინის ოლქის სანინო-სავოვსკოეკი მუშაკნმ სამინისტროს ქ. კიევის მოსამარკეთებელ სამეფნოთა ტრესტის მუშაკნმ, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა;

ეკიბაშევის სასადილისა და რესტორანების საქალაქო ტრესტის საზოგადოებრივი კეფების მუშაკთა კოლექტივმა.

(გაგრძელება იქნება)

ყაზახეთის გამოჩენილი მომღერალი

(ულიან ბაისეიტოვას ბასტრელები თბილისში)

„ყაზახეთის ბულბულის“ უწოდებენ ულიან ბაისეიტოვს, რომელიც ცნობილია არა მარტო თავის რესპუბლიკაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, მთელ საბჭოთა კავშირში. ყ. ბაისეიტოვა ფართო შემოქმედებითი დიაპაზონის მომღეროლია.

მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი, გამოჩენილი მომღეროლი ე. ბარსოვი-ის შესახებ წერს: „დაუვიწყარი მთავარქმედია მოსდენია ჩემზე ყაზახეთის შესანიშნავმა . მომღეროლმა ულიან ბაისეიტოვამ. მუსიკის ღრმა შეგრძნობა, სცენიური ხელოვნების ოსტატობა უდავოდ მისი დიდი ნიჭის მაჩვენებელია. მისი მაღალი, მსტემენი, ვერცხლისებური ტენორადნის ხმა ეკმაბრიტად გვაგონებს ბულბულის ხმას, რის გამო მან ეს სახელი დაიმსახურა“.

ბაისეიტოვას ახალგაზრდობიდანვე ჰკიოდა მისწრაფება სცენისაკენ. იგი მონაწილეობდა სკოლის დრამატულ წრეებში, ხოლო 1929 წელს შევიდა დრამატულ თეატრში, სადაც დიდ წარმატებას მიაღწია. მაგრამ ულიან ბაისეიტოვას ნამდვილი ბოროტება სოფლური ხელოვნება იყო. 1933 წელს მან მონაწილეობა მიიღო ოპერა „ალიან შოლანგნი“. ეს მისი პირველი დიდი წარმატება იყო. შემდგომ მისი ნიჭი თანდათან ეფართოებოდა. მან დაიმსახურა სსრ კავშირის სახალხო არტისტისა და სტალინური პრემიის ლაურეატის სახელი წოდება.

მან შექმნა მთელი ოპერა ბრწყინვალე სცენიური სახეები — სარა (ოპერა „ბირჟან და სარა“), კიზიგეტკე (ოპერა „ყიზ-ჟიბეკ“), ბატერფლია („ჩიო-ჩიო-სან“), ტატიანა („ევგენი ონეგინი“), მარი („დაისი“).

ულიან ბაისეიტოვას გასტროლები თბილისში ზ. ფალიაშვილის ოპერა „დასისთან“ დიდწყო, რომელშიც ყაზახმა მსახიობმა ქალაქ უდიდესი სიძლიერით, პოეტური მგზნებარებითა და ეოკალური ოსტატობით შეასრულა მარის ანარტია.

3 ივნისს ყ. ბაისეიტოვამ მონაწილეობა მიიღო ოპერა „ჩიო-ჩიო-სანში“, რომელშიც დიდი არტისტული ალღტუნი, ბრწყინვალედ შეასრულა ბატერფლის ტრაგიკული როლი.

გუშინ, ყ. ბაისეიტოვამ მონაწილეობა მიიღო „დასიში“, 11 ივნისს მონაწილეობას მიიღებს „ჩიო-ჩიო-სანში“, 13-14 ივნისს გამართავს დამოუკიდებელ კონცერტს. აქ იგი ძირითადად შეასრულებს ყაზახურ ხალხურ სიმღერებს. გასტროლების ბოლოს მოიწერება შესვლრები ყ. ბაისეიტოვასთან ხელოვნების მუშაკთა სახლში და კონსერვატორიაში.

ახალგაზრდა მწერალთა საქალაქო თათბირი

ამას წინათ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში გაიმართა ახალგაზრდა მწერლების საქალაქო თათბირი, რომელიც სამი დღე გრძელდებოდა.

ახალგაზრდა პროზაიკოსების შემოქმედებაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ო. ჩხეიძემ, ახალგაზრდა პოეტების შემოქმედებაზე — ამხ. ზ. ჭუმბურიძემ. სიტყვები წარმოთქვეს: გ. გოგიჩაშვილმა, ვ. ბუხანიძემ, ფ. შენგელაიამ, გ. შატბერაშვილმა, გ. ხუხაშვილმა, ა. სულაყაურა, ი. წულუკიძემ, ვ. გოგებელმა, ნ. კიკნაძვილმა, ს. ახალდიანმა, ა. ნემსაძემ, ნ. ჩხეიძემ, გ. ბიქაძემ, მ. ლებანიძემ, ა. ბეიშვილმა, ფ. ამისულაშვილმა, ზ. ბერიულაძემ, ზ. ზურაბაღიშვილმა, ი. ცხოვრებოვამ და სხვ.

სსრ კავშირის მწერალთა კავშირის წარმომადგენელი პოეტი ს. გუფენკო მიესალმა თათბირის მონაწილეთ ქართველ ახალგაზრდა მწერლებს და შეეხო ახალგაზრდა მწერლების შემოქმედების მთელ რიგ საყურადღებო საკითხებს.

თათბირზე შემოჯამებული სიტყვა წარმოთქვა ამხ. ს. ჩიქოვანმ.

თათბირის დღეებში მწერალთა სახლში მიმდინარეობდა პროზის, პოეზიისა და დრამატურგიის სექციათა სხდომები, სადაც ცნობილი ქართველი მწერლების მონაწილეობით არჩიოდა ახალგაზრდა მწერლების შუმბოის საკითხები. თათბირის ბოლოს გაიმართა ახალგაზრდა მწერალთა შემოქმედებითი საღამო.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„ბორჯომის კუროროტები მზად არ არიან ახალი სეზონისათვის“

„კომუნისტის“ 27 მაისის ნომერში ამ საფაურით დაიბეჭდა მამხილებელი კორესპონდენცია. როგორც პარტიის ბორჯომის რაიკომის მდივანი ამბობ. ფ. გელაშვილი გვატყობინებს, კორესპონდენციაში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ბორჯომის რაიკომის ბიუროომ განიხილა საკითხი საკურორტო სეზონისათვის ბორჯომის სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების მზადყოფნის შესახებ და ვალოდ ბოლშევიკური ნაკლოვანებათა გამოსასწორებელად დასახა სათანადო ღონისძიებანი.

პარტიული ცხოვრება

კომკავშირისადმი ხელმძღვანელობა გადაჭარბებულ ზრდა-ზრდაზე ზრდა-ზრდაზე უნდა გაუმჯობესდეს

სასტემატურად დაგვიანებით და ცუდად სრულდება სასოფლო-სამეურნეო სამეშაოები სოფელ ისაკაკეს (ზნაურის რაიონი) კოლეტეურნეში „ოროსონოლინი“. ამ გაზაფხულზეც ასევე მოხდა. თესვის გაჭიანურება გამოიწვია არაორგანიზებულმა მუშაობამ, სუსტმა დისციპლინამ. კოლმეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ (მდივანი ფ. ქოქოლეა) ვერ ითანამშრომლა ორგანიზაციებთან. ასეთი სამეცილი სამარცვნეთ ნიო მთელი სოფლის ახალგაზრდობისათვის, რომ ასეთი საქციელი არ ეპატიება ლენინური კომკავშირის წევრს.

პარტორგანიზაცია არ იბრძვის კოლმეურნეთა შორის მასობრივ-საგაგებო მუშაობაში კომკავშირული ორგანიზაციის როლის ამაღლებისათვის. კომკავშირული რიგებიდან მერჩეული არ არიან აგიტატორები. სოფლის ახალგაზრდებს მორისაც არავინ ეწევა საგაგებო-მუშაობას. დამახასიათებელია ისიც, რომ საყოლმეურნეო ეკონომიის გაზეთში დაეშასტატენი ქრაბალდიფეინი მოიხსენია კომკავშირული ორგანიზაცია. პარტიული ორგანიზაციაა ამ ფაქტსაც არ გამოუხმაურა.

არადამაკმაყოფილებლად ეხმარება კომკავშირულ ორგანიზაციას სოფელ თიღვეის მარგსის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტორგანიზაციაც (მდივანი გ. ქელეხსაევი). პარტორგანიზაციის გულგრილ დამოკიდებულებას კომკავშირული ორგანიზაციისადმი ცუდი შედეგები მოჰყვა: თიღვეულ კომკავშირელთა რიგებში არიან ისეთები, რომლებიც არღვევენ შრომის დისციპლინას.

კომკავშირულ კრებებს ამ წინასწარ არ ამზადებენ. ამიტომ საკითხის განხილვაც ზერელედ ხდება. მომდინარე წლის დასაწყისში კომკავშირულმა კრებამ განიხილა საკიტაცეო მუშაობის საკითხი. ახალგაზრდების მეტი ნაწილი ახლად იყო შერჩეული აგიტატორებად. ეს კრებას ავალებდა მეტი პასუხისმგებლობით მოკიდებოდა საკითხის განხილვას. მოხდა პირიქით. საკითხი ნაჩქარევად გადაწყდა, დადგენილება უხეირო მიიღეს. კომკავშირელ აგიტატორებს ორგანიზაცია არადამაკმაყოფილებელად ეხმარებოდა, არ უწევენ მათ კონტროლს. ამიტომაც არის, რომ ისინი ცუდად მუშაობენ. მემინდვრეობის ბრიგადებში ცალკეულ შემთხვევებში ირღვევა ავარიწესები, აგიტატორები კი ამ საკითხს არ ემსჯელებიან.

თიღვეის საკოლმეურნეო კომკავშირული ორგანიზაცია თავის რიგებში 35 კომკავშირელს ითვლის. ეს დიდი ძალაა. კომკავშირელ ორგანიზაციას შეეძლო მნიშვნელოვანი წვლილი შეეტანა კოლმეურნეობის განმტკიცების საქმეში. მაგრამ ორგანიზაციის მდივანი ა. ნადირაძე არ ზრუნავს განავითაროს კომკავშირელთა ინიციატივა, ჩაბას ისინი მუშაობაში, კომკავშირელებს არ ეძლევთ დავალებანი.

თიღვეაშიც კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობა პარტიკრებზე კომკავშირის ორგანიზაციის მუშაობის საკითხის ფორმალური განხილვით ამოიწურა. მომდინარე წლის 29 მარტს პარტკრებაზე კრებამ მოისმინა კომკავშირის ორგანიზაციის მდივნის ა. ნადირაძის მოხსენება. ვრების ოქმის მიხედვით ძნელი გასაგებია, თუ კონკრეტულად რა საკითხზე იყო ლაპარაკი. მიღებული დადგენილება არაფრისმომქმელი და ბუნდოვანია.

პარტიის ზნაურის რაიკომის მუშაკები დროდადრო ეცნობიან ისაკაკუისა და თიღვეის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციების მუშაობას, მაგრამ, როგორც ჩანს ისინი ჯერჯვან ყურადღებას არ აქცევენ იმას, თუ როგორ ეხმარებიან პირველადი პარტორგანიზაციები კომკავშირს.

ვლ. გელაშვილი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ზესტაფონელი მეგალურგები მეგზი ლიეონისათვის იბრძვიან

განვაგრძოთ საპირველმაისო ფრაგმენტების წლის ბოლომდე — ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ზესტაფონის ბერიას სახელობის ფერომეტალნიმობთა ქარხნის კოლეკტივმა და შეჯიბრებიანი ვალდებულებანი ახალი დამატებითი მუხლებით შეავსო. მეტალურგებმა სიტყვა საქმედ აქციეს: უფრო ფართოდ გაანალიზეს შეჯიბრება საამქროებსა, ცალკეულ და წამყვანი პროფესიების სტახანოველთა შორის; შედეგად შესანიშნავი მიიღეს და მაისი მნიშვნელოვანი. წარმატებანი დაამთავრეს.

საამქროთა შორის გამარჯვება მოიპოვა სადნობმა საამქრომ (უფროსი ნ. შათირიშვილი), რომელმაც მაისის გეგმა 139,9 პროცენტით გაანაღდა. საამქროში ყველაზე უფრო დაწინაურდა პრეკეი ცალი (უფროსი ა. მეტრეველი). ამ ცალში განსაკუთრებით მაღალნაყოფიერად მუშაობენ მეექვსე ღუმეზე მომუშავეები ივ. აბესაძის ხელმძღვანელობით.

როგორ აღწევს ეს ბრიგადა წარმატებებს? მუშაობის დაწყების წინ ღუმელის მთელი კოლეტივი რამდენიმე წუთით აღრე მიდის სამუშაოზე; ადგილზეთ ამოწმებს ღუმელის მდგომარეობას, წესიერად აწყობს სამუშაო ადგილს, წინასწარ იმარაგებს ყველა ხელსაწყოსა და მასალას, ბრიგადის წევრები მიზანშეწონილად არიან გაანაწილებული სამუშაოზე. ბრიგადა ზუსტად იცავს ტექნოლოგიურ პროცესს. ამის შედეგად ღუმელი მთელი სიმძლავრით მუშაობს.

მარგანეცის საამქროთ (უფროსი შ. თოდორაშვილი) მაისის გეგმა 103,9 პროცენტით შესრულდა. ამ საამქროში ბრიგადა მეტად დაწინაურდა ილ ბრიგადა, რომელსაც ფ. იაკოფენო ხელმძღვანელობს. ასევე კარგი მაჩვენებლები მოიპოვა ალ. სვანიძის ბრიგადამაც. საამქროთ მაისში მნიშვნელოვნად გაანამჯობესა პროდუქციის ხარისხი. მაგალითად, გეგმით აქ 40 პროცენტი პრემიული მარკის ლითონი უნდა გამოეწვეთ, ფაქტიურად 70 პროცენტის გამოშვებას მიაღწიეს. ამასთან 6 პროცენტნი ნაკლები ელექტროენერგია დახარჯეს.

ფართოდ გაანალიზეს შეჯიბრება მეოთხე საამქროში. ამ საამქროთ მაისის გეგმა 101,4 პროცენტით შესრულდა. შეჯიბრებაში წარმატება მოიპოვა ცალამ, რომელსაც ინჟინერი ელენე ელაკო ხელმძღვანელობს. საამქროს უფროსისს, სტალინური პრემიის ლაურეატს ინჟინერ გ. სიორიძის ინიციატიეთ, რომელსაც აქტიური დახმარება გაუწია მისმა მოადგილემ ახალგაზრდა ინჟინერმა ოთარ ოსელიანმა, მნიშვნელოვანი რაციონალიზატორული ღონისძიება განხორციელდა. გ. სიორიძემ ფერომარგანეცი ჩარგანეცის მაღნით შეაცალა. ამ ღონისძიებამ წარმოებას სულ ცოტა 100.000 მანეთი წლიური ეკონომია ისაცა. ამასთან დაცულია პროდუქციის ხარისხი, მკვეთრად გაფიდდა შრომის ნაყოფიერება, გაუმჯობესდა მუშათა შრომის პირობებიც, ვინაიდან ფერომარგანეცის გადამშვებეის დროს საამქროში ჩნდებოდა მავნე აირები, რაც ეარყოფდა გაელენას ახლენდა მუშის ჯანმრთელობაზე. ახლა მარგანეცის ბადნით ფერომარგანეცის შეცალამ ალეკეთა მავნე აირების წარმოშობა საამქროში.

კარგი მაჩვენებლები აქვთ აგრეთვე ქარხნის დამზმარე საამქროებსაც. მაგალითად, ელექტროდების საამქროთ მაისის გეგმა 102,9 პროცენტით გაანაღდა, მექანიკურმა — 106,8, მოლეგბენნის — 108,2, ხოლო სატრანსპორტო საამქრომ — 160 პროცენტით.

ზესტაფონელ მეტალურგებს გადაწყვეტილი აქვთ წარმატებით დამთავრონ მიმდინარე სამეურნეო წელი და სამშობლოს გეგმის გადამეტებით ასრულონ ტონა ძეირფასი ლითონი მისცენ.

ს. ბუშლაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ლენინელ მემანქანეებს დაჯაჯავთ მძიმეწონიანი მაგარეულები

თბილისის საორთქლმავლო დეპოს ლენინელი მემანქანეები გ. ცანიძე, ო. მელიქსეტიანი, ა. ლომსაძე, ა. ბეკანიანი და სხვები სისტემატურად დაატარებენ მძიმე წონის მატარებლებს. 23 მაისს წარჩინებულმა მემანქანემ გ. ცანიძემ სადგურ სანაინდან ნავთლუღამდე ვრაფიკის ზუსტი დაცვით ჩაიყვანა მძიმე წონის მატარებელი და ნორმის გადამეტებით გადაზიდა 125 ტონა ტვირთი.

საორთქლმავლო დეპოს კოლექტივმა მაისში გეგმის გადამეტებით ჩქარობნული მეთოდით შეაყვანა ერთი ორთქლმავალი. 96 საათის ნაცვლად ამ სამეფაოს დეპოელებმა 25 საათი მოანდომეს. განსაკუთრებით გამოჩინეს თავი ხეეინკლების ხმიადშვილის, ნიკოლეტეველისა და მაზბიშვილის ბრიგადებმა.

გავაღიღოთ პირველი ხარისხის მარგანეცის დამზადება

როგორც ცნობილია, ჭიათურის მარგანეცის ტრესტმა სამეურნეო წლის პირველ კვარტალში არადამაკმაყოფილებელად იმეშავა და სამშობლოს თეფულ ათასობით ტონა მარგანეცი დაკარგა. პირველი კვარტალის დაკალების შესრულება ვერც ერთმა მაღარომ ვერ შეძლო.

ბანილში დაიწყო გარდატეხა და თითქმის ყველა მაღარომ შეასრულა გეგმა. ამრიგად გეგმა დადაკარგებით შეასრულა მარგანეცის ტრესტმაც. ტრესტმა სასაკინელო ლაბორატორიის დამზადების დაკალებას საგრძნობლად გადაამარბა მაისშიც. განსაკუთრებით კარგად იმეშავეს სტალინის, დიმიტროვისა და კაგანოვიჩის სახელობის მაღაროებმა. მართალია, მარგანეცის ტრესტმა აპრილისა და მაისის გეგმები გადაჭარბებით შეასრულა, მაგრამ ამან მაინც ვერ უზრუნველყო პირველი კვარტალის დაკალესის ანაზღაურება.

ღასაწმენდია ავრეთვე, რომ თითქმის ვერც ერთი მაღარო ვერ ასრულებს პირველი ხარისხის მაანის დამზადების გეგმას, რითაც ტრესტს საგრძნობი ზარალი მოსდის. ყოველად გაუმართლებელია, რომ მაღაროები პირველი ხარისხის მარგანეცის ხარჯზე ეგოთხე ხარისხის მარგანეცს იღებენ.

პირველი ხარისხის მარგანეცის გამოშვების გადიდების საკითხი ამასწინათ განხილა საკარიელოს კ. პ. (ბ) ჭიათურის საქალაქო კომიტეტმა და სათანადო ღონისძიებანი დასახა. ამის შედეგ, მართალია, მდგომარეობას გაუმჯობესება დაეტყო, მაგრამ მეკვირი გარდატეხა ჯერ მაინც კი მოიმზადარა. ეს უნდა გითვალისწინონ მარგანეცის ქალაქის ქარხანამ, სამეურნეო და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, ვინაიდან პირველი ხარისხის მარგანეცის დამზადების გადიდება ამავად ჭიათურელ მაღაროელთა ერთერთი პირველი რიგის საბრძოლო ამოცანაა.

ირსებული რეზერვების მაქსიმალური გამოყენებით მაღაროელებმა უნდა უზრუნველყონ პირველი ხარისხის მარგანეცის გამოშვების გადიდება, ჩამორჩენილის ალმოფხვრა და წლიური გეგმის ვადამდე შესრულება.

ჯ. ჯიოკაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

დაიწყო ბამბეულის კომბინაციის მონტაჟი

გორი. (საკ. კორ.). ბამბეულის კომბინატის მშენებლობის ხელმძღვანელობამ დაიწყო სანტაქრელ-ტექნიკური მოწყობილობის მონტაჟი. მშენებლობას მასობრივად მოსდის ტექნოლოგიური მანქანა-დანადგარები, რომელთა მონტაჟს ახლო ხანში შეუდგებიან, რათა მომდინარე წლის მე-4 კვარტალში საექსპლოატაციოდ გადასცენ 10 ათასი ცალი სართაული თითბისტანი.

მზადება მოსავლის აღებისათვის

კომბაინერები საათობრივი გრაფიკით იმუშავებენ

თელავი. (საკ. კორ.). მტს-ი (დირექტორი ნ. ჩხოტუა) ენერგიულად ემზადება პურეულის აღებად. ლუკა შიუკაშვილის, თედო კაჭკაჭიშვილის, იოსებ მრელაშვილისა და სხვა კომბაინერთა ბეჯითი შრომის შედეგად კომბაინების რემონტი ვადაზე 15 დღით ადრე დამთავრდა. წელს მტს-მა გეგმით 2.000 ჰექტარი უნდა მომკას. ფაქტიურად კომბაინერები მოსავლის აღებას უფრო მეტ ფართობზე ვარაუდობენ. მიცემულ დავალებათა სასახელოდ შესრულებისათვის გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. ამ საქმის ინიციატორად კომბაინერი ლ. შიუკაშვილი გამოვიდა. იგი 12 წელზე მეტია კომბაინერად მუშაობს. შიუკაშვილმა შარშან კომბაინ „სტალინეც—6"-ით 387 ჰექტარი ყანა მომკა. წელს მან 450 ჰექტარის აღება იკისრა და სოციალისტურ შეჯიბრებაში ახმეტის მტს-ის კომბაინერი არჩილ ნადირაძე გამოიწვია. კომბაინერმა შიუკაშვილმა დანაკარგის თავიდან ასაცილებლად მარცვალმჭერები წესრიგზე მოიყვანა, გაუკეთა მანქანას ნამჯის შემგროვებლები, ხანძარი რომ არ გაჩნდეს კომბაინსა და ტრაქტორზე ნაპერწკალმჭერები მოაწყო. მზადა აქვს ცეცხლსაქრობიც. მან გადაწყვიტა, რომ საათობრივი გრაფიკით იმუშაოს. ეს თელავის მტს-ის მუშაობაში ახალი ნაბიჯია. კომბაინერთა თათბირზე შიუკაშვილმა საათობრივი გრაფიკით მუშაობის თაობაზე შემდეგი თქვა:

— გეგმით დღეში 12 ჰექტარი უნდა ავიღო, შარშან ისე ვმუშაობდი, რომ არ ვვარაუდობდი, საათში რამდენი უნდა მომემკა. ახლა გადავწყვიტე საათში ორი ჰექტარი მოვმკა და ამრიგად დღეში ავიღო 32 ჰექტარი მოსავალი. ამის მისაღწევად ბუნკერის განტვირთვას და წყლით მომარაგებას მოვაწყობ აგრეგატის სვლის დროს. მოსავლის აღების დაწყებამდე ფართობს დავყოფთ დღიური და საათობრივი მუშაობის ნაწილებად.

კომბაინერ შიუკაშვილის ინიციატივამ თელავის მტს-ის კომბაინერთა და მეშტურვალეთა მხურვალე გამოხმაურება გამოიწვია. კომბაინერმა თედო კაჭკაჭიშვილმა იკისრა მოსავალი აიღოს 400 ჰექტარზე და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია კომბაინერი იოსებ მრელაშვილი. კომბაინერებმა შეჯიბრება გააჩაღეს საათობრივი გრაფიკით მუშაობისათვის.

მანქანა-იარაღები შეუკეთებელია

კასპი. (საკ. კორ.). პურეულის მოსავალს კასპის რაიონში კარგი პირი უჩანს, მაგრამ მტს-ები არადამაკმაყოფილებლად ემზადებიან მოსავლის ასაღებად. კასპის მტს-ის უფროს მექანიკოს მიხეილ ლობჟანიძეს თუ დავუჯერებთ, კომბაინების რემონტი თითქოს ძირითადად დამთავრებულია. სინამდვილეში კი მტს-ის განკარგულებაში არსებული სამი კომბაინი ნახევრადაც არაა შეკეთებული.

არც სალეწი მანქანების შეკეთების მხრივ არის კარგად საქმე. ერთი სალეწი მანქანა სოფელ რენეში უპატრონოდაა მინდორში.

მტს-ი დაკომპლექტებული არაა კადრებით, ელიათ ტრაქტორისტები და კომბაინერები. კასპის მტს-ს სურამის მექანიზაციის სკოლაში 5 თვიან კურსებზე 5 კაცი უნდა გაეგზავნა, მაგრამ ნიგოზას, ქვემო ჭალის, ლამისყანის და კასპის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების ბედოშვილის, მაჭარაშვილის, ნაპოვნაშვილის და მერებაშვილის უპასუხისმგებლობის შედეგად სკოლაში არც ერთი კაცი არ მიავლინეს და ამით ჩაშალეს კადრების მომზადება.

მოსავლის აღებისათვის არადამაკმაყოფილებლად ემზადება წითელქალაქის მტს-იც. აქ მხოლოდ ერთი კომბაინი აქვთ და ჯერ მისი შეკეთებაც ვერ მოუხერხებიათ. სალეწი მანქანების რემონტი ნელი ტემპით მიმდინარეობს, აკლიათ ხის მასალა, თუნუქი და სხვა ნაწილებიც. ცუდადაა მოწყობილი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობაც. მექანიზატორთა შორის არ იმართება ლექციები, საუბრები, უმოქმედობას იჩენენ აგიტატორები. მტს-ის პარტიული ორგანიზაცია ზომებს არ იღებს ტრაქტორისტთა და კომბაინერთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გასაძლიერებლად.

კასპის მტს-ის ხელმძღვანელებმა დროზე უნდა გამოასწორონ ნაკლოვანებანი, რათა მომზადებული შეხვდნენ პურეულის მოსავლის აღებას.

საანეულო ხვნა და კულტივაცია

საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში 5 ივნისისათვის საანეულოდ მოხნულია 50.384 ჰექტარი, გეგმის 84 პროცენტი. დავალება წარმატებით არის შესრულებული წითელწყაროს, ახალციხის, ქარელის, სიღნაღის, თბილისის გარეუბნის, გარდაბნის, მარნეულის, თელავის, ყვარლის, კაჭრეთის, ხაშურის რაიონებში.

სამხრეთ ოსეთში ხვნის გეგმა 16,6 პროცენტით არის შესრულებული, ახალქალაქის რაიონში—65,7, ბოგდანოვკის—60,4, ადიგენის—33, ასპინძის—30, გორის—65,6, კასპის — 54,5, წალკის—23,2, თეთრი წყაროს—50,3, გურჯაანის რაიონში — 40,3 პროცენტით. ბორჯომის რაიონს საანეულო ხვნა არ დაუწყია.

5 ივნისისათვის რესპუბლიკის კოლმეურნეობებში პირველად დამუშავებულია 5.942 ჰექტარი ანეული, გეგმის 11,8 პროცენტი.

თეთრი წყაროს რაიონში ანეულის პირველი კულტივაციის დავალება 86,2 პროცენტით არის შესრულებული, კაჭრეთის რაიონში—60,6 პროცენტით. ანეულის პირველი კულტივაცია დაწყებულია აგრეთვე ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ქარელის, გურჯაანის, სიღნაღის, წითელწყაროს, თელავის, ყვარლის, თბილისის გარეუბნის, მცხეთის, მარნეულის, ბოლნისისა და საგარეჯოს რაიონებში.

5 ივნისისათვის ანეულის მეორე კულტივაცია დაწყებულია თეთრი წყაროს, კაჭრეთისა და მცხეთის რაიონებში, სულ დამუშავებულია 795 ჰექტარი.

გორელ ფიზკულტურელთა მოწოდების პასუხად

ხაშურელი ფიზკულტურელები ეჯიბრებიან ზესტაფონელებს

ხაშურის რაიონის ფიზკულტურელები მომზადებული შეხვდნენ მიმდინარე წლის სასპორტო სეზონს. ფიზკულტურის რაიონული კომიტეტის ინიციატივით უკვე მოეწყო შეჯიბრება სარაიონო პირველობაზე ფეხბურთში, მძლეოსნობაში, ტანვარჯიშში, კალათბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს რაიონის სასკოლო, საწარმოდაწესებულებათა და კოლმეურნეობათა ფიზკულტურულმა კოლექტივებმა.

ხაშურელმა ფიზკულტურელებმა გულდასმით განიხილეს გორის რაიონის ფიზკულტურელთა თაოსნობა და თავიანთი მხრივ იკისრეს გადაჭარბებით შეასრულონ ნიშნოსნების, თანრიგოსნებისა და ფიზკულტურული კადრების მომზადების 1950 წლის გეგმები; რაიონის კოლმეურნეობებში მოაწყონ ფეხბურთის 18, კალათბურთის 10 და საჭიდაო 15 მოედანი; სოფლისა და ქალაქის ფიზკულტურულ ორგანიზაციებში მოაწყონ ლექცია-საუბრები სხვადასხვა ფიზკულტურულ თემებზე; მოამზადონ მშთ პირველი და მეორე საფეხურის 265 და იმშთ 402 ნიშნოსანი, 166 სხვადასხვა სახის თანრიგოსანი.

ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით განაღდებისათვის ხაშურელმა ფიზკულტურელებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ზესტაფონელი ფიზკულტურელები.

ვ. გურგენიძე
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ჩვენ გვწერენ

ზემო სორტის მინერალური წყლები

სოფელ ძველი სენაკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ტერიტორიაზე (ცხაკაიას რაიონი), იმ უბანში, რომელსაც აქ ზემო სორტას ვეძახით, უხსოვარი დროიდან მომდინარეობს სხვადასხვა მინერალური წყალი. ერთ-ერთ წყაროს რატომღაც ეძახეა ფუტკარი. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს წყალი არ იერთებს იქვე ზემოდან მომდინარე პატარა ამღვრეულ მდინარეს. ზამთარში მინერალური წყლების ტერიტორიაზე თოვლი არ დგება. კარგი იქნება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტთა სამმართველომ შეისწავლოს ზემო სორტის მინერალური წყლის თვისებანი.

შ. ნინუა
კოლმეურნეობის თავმჯდომარე
ე. ხუხია
კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი

სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივი ორგანოები უკეთესად უნდა მუშაობდნენ

სოციალისტური სამშობლოს თითეული მოქალაქე, სანამ ჯანმრთელია და შრომის უნარი შესწევს, აქტიურ მონაწილეობას იღებს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში, ხოლო მოხუცებულობის ან სხვა რაიმე მიზეზით შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში ის გარემოსილია საბჭოთა სახელმწიფოს და საბჭოთა საზოგადოების ყურადღებითა და მზრუნველობით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევათ სამამულო ომისა და შრომის ინვალიდებს, სამამულო ომში დაღუპულ მებრძოლთა ოჯახის წევრებს. საქართველოს სს რესპუბლიკაში სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფისათვის 1949 წელს დაიხარჯა 352 მილიონი მანეთი, ხოლო 1950 წელს დაიხარჯება 368 მილიონი მანეთი. სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მუშაკთა ამოცანაა სწორად გამოიყენონ ეს სახსრები, ყურადღებითა და მზრუნველობით მოეპყრონ პენსიონერებს.

მიუხედავად იმ სერიოზული მუშაობისა, რასაც საქართველოს სს რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები ეწევიან, შემოწმებამ გამოავლინა მთელი რიგი ნაკლოვანებანი და დამახინჯებანი პენსიონერებისათვის პენსიებისა და დახმარების მიცემის, მათ განცხადებებსა და საჩივრებზე პასუხების გაცემის საქმეში.

თბილისის სტალინის რაისაბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების ინსპექტორი ქსენია ქორქაშვილი უპასუხისმგებლოდ ეკიდება მშრომელთა საჩივრებს. მან განაცხადა: „მე რამდენიმე ასეული პენსიონერი მყავს და როგორ შემიძლია ყველა მათი საქმე ვიკვლიო და შევისწავლოო". აღნიშნული განყოფილების უფროსმა ინსპექტორმა მ. ყაჭეიშვილმა შეუმოწმებლად და საქმის შეუსწავლელად ერთდროული დახმარება მისცა მოქალაქე ე. გარაყანიძეს. ამ მოქალაქის განცხადება არათუ არ შეამოწმეს, არამედ თანხის გაცემის ნებართვაც კი არ გააფორმეს. ყაჭეიშვილმა განაცხადა: „დახმარების გასაცემად სავალდებულო არ არის ჩემი ან განყოფილების გამგის ნებართვა, ერთდროულ დახმარებას ისედაც ვაძლევთო". ამ განყოფილებაში არ ხდება განცხადებათა და საჩივრების ზუსტი აღრიცხვა, ისინი პასუხის გაუცემლად ყრია უჯრებში.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების აღრიცხვის საქმე აგრეთვე თბილისის გარეუბნის რაისაბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებაში. საქმეთა მმართველმა შ. ცოცხალაშვილმა არ იცის, სად არის საპენსიო საქმეები. სამამულო ომის II ჯგუფის ინვალიდს მოქალაქე ნიკოლოზ სარიშვილს შეუწყვიტეს პენსიის მიცემა იმიტომ, რომ განყოფილების მუშაკებმა ეჭვი შეიტანეს იმ ცნობის სისწორეში, რომელიც მან სამუშაოდან წარადგინა. ასეთ შემთხვევაში ინსპექტორი ვალდებული იყო თვითონ შეემოწმებინა წარდგენილი ცნობის სისწორე, შეესწავლა პენსიონერის ცხოვრების პირობები, მაგრამ აქ ეს არ გააკეთეს. ბიუროკრატიულად მოეპყრნენ პენსიონერ ჯ. გაბიტაშვილს, რომელმაც ერთდროული დახმარების შესახებ განცხადება შეიტანა საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროში. სამინისტრომ ჯ. გაბიტაშვილის საქმე გადაუგზავნა შესამოწმებლად და დასაკმაყოფილებლად თბილისის გარეუბნის რაისაბჭოს აღმასკომის სოცუზრუნველყოფის განყოფილებას. ამ უკანასკნელმა კი ეს განცხადება გადაუგზავნა ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ურთიერთ-დამხმარე სალაროს და ამით საქმე თავიდან მოიშორა. თუ რა ბედი ეწია შემდეგში პენსიონერის განცხადებას, ამით სოცუზრუნველყოფის განყოფილების მუშაკები არ დაინტერესებულან.

მშრომელთა წერილებისადმი ფორმალური დამოკიდებულების ფაქტები არის თბილისის ორჯონიკიძის და მოლოტოვის რაისაბჭოების აღმასკომების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებათა მუშაობაშიც. ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების საქმის მწარმოებელმა ისიც კი არ იცის, თუ სად არის პენსიონერების საქმე და რომელ წიგნში უნდა ჰქონდეს გატარებული. სარეგისტრაციო ჟურნალი დაუნომრავია და ფურცლებიც ამოხეულია. ე. ხომაშიაშვილმა (მცხოვრები ლენინის ქ. № 48) ერთდროული დახმარების შესახებ განცხადება შეიტანა სოცუზრუნველყოფის განყოფილებაში. ინსპექტორმა ე. გოცაძემ ეს განცხადება დაკარგა, ხოლო პენსიონერმა ერთდროული დახმარება მიიღო თუ არა, ეს აქ არ იციან: სარეგისტრაციო ჟურნალში გატარებული აქვთ, რომ მიიღო, ინსპექტორიც სიტყვიერად ადასტურებს, დახმარება მივეცითო, ხოლო ბუხჰალტრულ ჩანაწერებში ეს არსად არა ჩანს.

თბილისის მოლოტოვის რაისაბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებაშიც არ არის მოწყობილი მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების ზუსტი აღრიცხვა. სარეგისტრაციო ჟურნალში პასუხები სწორად არ არის გაცემული, არის ამოშლილი, გადასწორებული ადგილები, მთელი რიგი ჩანაწერები არასწორად არის შეტანილი.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ რაიონების სოცუზრუნველყოფის განყოფილებებთან არსებული საექიმო საექსპერტო კომისიები, რომლებიც სისტემატურად უნდა ამოწმებდნენ როგორც სამამულო ომის ინვალიდთა, ისე შრომის ინვალიდთა ჯანმრთელობის მდგომარეობას.

საქართველოს ინვალიდთა კოოპერაციული კავშირის პრეზიდიუმი ნაკლებ ყურადღებას აქცევს სამამულო ომის ინვალიდების სამუშაოზე მოწყობის საქმეს. მიუხედავად ხელმძღვანელი ორგანოების მრავალი მითითებისა, რომ ამ კოოპერაციულ კავშირს მიეღო საჭირო ზომები სამამულო ომის ინვალიდების შესაფერის სამუშაოზე მოწყობისათვის, მას არ შეუსრულებია ეს დავალება. საქართველოს ინვალიდთა კოოპერაციული კავშირის პრეზიდიუმმა ეს ნაკლი დაუყოვნებლივ უნდა გამოასწოროს და უზრუნველყოს სამამულო ომისა და შრომის ინვალიდების რაც შეიძლება მეტი რაოდენობით ჩაბმა თავის საწარმოებში.

კავშირგაბმულობის ზოგიერთი მუშაკი პენსიებს დაგვიანებით აბარებს პენსიონერებს და ზოგჯერ კიდევაც ითვისებს თანხებს. მაგალითად, კიროვის რაიონში ფოსტის დამტარებელმა ტ. ზელინსკაიამ მიითვისა ინვალიდ ა. სინოხჩიანის პენსიისა და ერთდროული დახმარების თანხა 300 მანეთი. მანვე მიითვისა ნ. ჩუდინას და ე. პოპუტკინას პენსიები. ნაკლები რაოდენობით აბარებდა მოქალაქეებს კუთვნილ პენსიებს და თანხებს თითონ ითვისებდა დამტარებელი ი. სეფიაშვილი. ასეთი ფაქტები სხვა რაიონებშიც იყო.

არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების მუშაკების უყურადღებობით პენსიას ყალბი საბუთებით ითვისებენ. მაგალითად, 26 კომისრის რაისაბჭოს აღმასკომის სოცუზრუნველყოფის განყოფილებაში გ. სიგორიანმა ყალბი საბუთების წარდგენის გზით მიითვისა 7.964 მანეთი და 60 კაპ.; სოცუზრუნველყოფის განყოფილების მოანგარიშემ ა. ალხაზოვმა უკანონოდ მისცა 208 მანეთი და 75 კაპ. მოქალაქე ს. ავეტისოვას და სხვ.

ზოგიერთი საწარმოსა და დაწესებულების ხელმძღვანელი ყალბ ცნობებს აძლევს მოქალაქეებს პენსიის დანიშვნისათვის. მაგალითად, კიროვის რაისაბჭოს აღმასკომის სოცუზრუნველყოფის განყოფილებამ პენსიის დანიშვნისათვის აღრიცხვაზე აიყვანა მოქალაქე ხ. ოჩირაშვილი, რომელსაც მე-14 პოლიკლინიკის გამგის ექიმ ვაინაძის ხელმოწერით შრომის წიგნაკში ჩაწერილი ჰქონდა 20 წლის მუშაობის სტაჟი, მაშინ როცა მას სრულებით არ უმუშავნია აღნიშნულ პოლიკლინიკაში.

საჭიროა სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მუშაკებმა გადაჭრით იბრძოლონ არსებულ ნაკლოვანებათა დაუყოვნებლივ გამოსასწორებლად და მეტი გულისხმიერებით მოეკიდონ მშრომელთა წერილებსა და საჩივრებს.

კ. კაჭახიძე
მ. უუბლაძე

შეჯიბრებაში გამარჯვებული სასოფლო საბჭო

ჩოხატაური. (საკ. კორ.) რაიონის სასოფლო საბჭოებს შორის სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის შემმოწმებელმა რაიონულმა ჟიურიმ შეაჯამა შეჯიბრების შედეგები მიმდინარე წლის პირველ კვარტალში.

ჟიურიმ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნო კოხნარის სასოფლო საბჭო, რომელმაც წარმატებით შეასრულა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, დამზადებათა და ფულადი სახსრების მობილიზაციის გეგმები. ჟიურიმ კოხნარის სასოფლო საბჭოს მიაკუთვნა მშრომელთა დეპუტატების ჩოხატაურის რაისაბჭოსა და პარტიის რაიონული კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ამ დღეებში კოხნარის სასოფლო საბჭოს საზეიმო ვითარებაში გადაეცა გარდამავალი წითელი დროშა.

კ ი ნ ო

სიმღერა ვაჟკაცობასა და მეგობრობაზე

საბჭოთა კავშირის ეკრანებზე დიდი წარმატებით უჩვენებენ კინოფილმს „ჯურღაის ფარი".* მისმა ავტორებმა ფილმს უწოდეს ლეგენდარული რაინდის ჯურღაის სახელი. ჯურღაისადმი მიძღვნილ ისტორიულ ეპიზოდს ამ კინოკონცერტში ცენტრალური ადგილი უკავია. მაგრამ ფილმი შესანიშნავად მოგვითხრობს ახლო წარსულის გმირულ დღეებზეც. იგი მოგვითხრობს ხალხთა ურღვევ მეგობრობაზე, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს დამცველთა ვაჟკაცობასა და გმირობაზე, საბჭოთა ადამიანების მხურვალე პატრიოტიზმზე.

ფილმის პირველი კადრებიდანვე მაყურებლის მეხსიერებაში აღსდგება მრისხანე ათასცხრაას ორმოცდაორი წლის შემოდგომის დღეები. მაშინ უდიდესი განსაცდელი დასტრიალებდა თავს ჩვენს სამშობლოს — საბჭოთა კავშირს. მტერი კავკასიის კალთებთან იყო მოსული. მას სურდა დაეპყრო ამიერკავკასიის რესპუბლიკები, დაემონებინა სომეხი, ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხები.

მტრის გეგმა ჩაიფუშა. საბჭოთა ხალხის ბრძენი ბელადის, უმაღლესი მთავარსარდლის დიდი სტალინის ნებით კავკასიაში ჩამოვიდა ამხანაგი ლავრენტი ბერია, რომელმაც შეამჭიდროვა ამიერკავკასიის ხალხები ჰიტლერელთა ურდოების გასანადგურებლად.

ამიერკავკასიის ხალხთა შვილები საბჭოთა კავშირის ყველა სხვა ხალხის შვილებთან ერთად გმირულად იბრძოდნენ მტრის წინააღმდეგ. სამშობლოს დამცველთა დასახმარებლად იგზავნებოდნენ ახალ-ახალი რეზერვები, სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტები.

ამიერკავკასიის ხალხებს, მათ შორის ქართველ ხალხს, მრავალგზის განუცდიათ თურქ-სელჯუკთა, არაბთა და მონღოლთა შემოსევა, აოხრება და აწიოკება. მაგრამ ქართველი ხალხი ყოველთვის ვაჟკაცურად იგერიებდა უცხოელ დამპყრობთა ურდოებს, სდევნიდა და ანადგურებდა მათ. მტრის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში ქართველ ხალხს მუდამ აღაფრთოვანებდა უკვდავი შოთა რუსთაველის სიტყვები:

„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა
სიკვდილი სახელოვანი".

ხალხის მიერ შექმნილი ლეგენდა ჯურღაის ფარის სასწაულმოქმედ შესაძლებლობაზე თაობიდან თაობაში გადადის. ლეგენდა მოგვითხრობს, რომ როგორც კი სამშობლოს საფრთხე დაემუქრებოდა, მრავალწლოვანი მუხის დიდ ტოტზე ჩამოკიდებული ლითონის ფარის გუგუნი აუწყებდა ამას მთელ ხალხს, შეკრებდა მეომრებს საბრძოლო დროშების ქვეშ და მოუწოდებდა მათ სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის თავდადებული ბრძოლისაკენ.

„... ალაზნის ველზე ჰკიდია
ვაჟის ჯურღაის ფარიო,
მოუვლის ომის ხალისი,
ხანდახან შესძრავს ქარიო..."

და აი ახლაც ხანგრძლივად გაისმის მუხის ტოტზე ჩამოკიდებული ჯურღაის ფარის გუგუნი. ლეგენდარული რაინდის ფარი მშვიდობიან შემოქმედებითს შრომაში ჩაბმულ ადამიანებს მოაგონებს, რომ დროა იარაღს მოჰკიდონ ხელი, სამშობლოს თავს დასტრიალებს საშინელი მტრის შემოსევის საფრთხე...

მომდევნო კადრში ჩვენ ვხედავთ თბილისს. ქალაქის ქუჩებით ფრონტის ხაზისაკენ მიემართებიან სამხედრო საჭურვლით დატვირთული ავტომანქანები, მეომართა ახალ-ახალი რეზერვები. შემდეგ მაყურებლის წინაშე გადაიშლება საქართველოს სამხედრო გზის მომხიბლავი და თვალწარმტაცი პეიზაჟი. ირგვლივ შემოდგომის ბარაქა ტრიალებს. საბჭოთა ადამიანებმა პარტიის, მთავრობის, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით და დახმარებით, გმირული შრომით მოიპოვეს ბედნიერი და საამური ცხოვრება, გარდაქმნეს სოფლები და ქალაქები, ააყვავეს მინდვრები და ველები. სწორედ ამ მონაპოვრის დასაცავად მიდიან საბჭოთა მეომრები, მიდიან მტკიცედ, ერთსულოვნად, გამარჯვების ურყევი რწმენით.

მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის ხალხთა შვილებისაგან შედგება კავკასიის დამცველ მეომართა რიგები. ფრონტის ხაზისაკენ მიმავალ ჯურღაის შთამომავლების მხარდამხარ ჩვენ ვხედავთ რუსებსა და უკრაინელებს, სომხებსა და აზერბაიჯანელებს, შუა აზიისა და სხვა მოძმე რესპუბლიკების ხალხთა შვილებს. მიდიან ფრონტის ხაზისაკენ კავკასიის გმირი დამცველები, მათ გზადაგზა გულთბილად ხვდებიან და მიაცილებენ კოლმეურნეები.

ფილმში განსაკუთრებული სიძლიერით არის გაკეთებული კადრი წყაროსთან, სადაც მეავტომატეთა ოცეული პირველ შესვენებას აწყობს. საკოლმეურნეო სოფლის მთელი მოსახლეობა საბჭოთა მეომრებისაკენ ისწრაფვის. ხალხის რა მშობლიური მზრუნველობა, რა ნაზი ალერსი და რა უსაზღვრო სიყვარული იგრძნობა თავისი არმიისადმი, თავისი გმირი დამცველებისადმი ამ ეპიზოდში! კოლმეურნეები ქარვისფერი ყურძნის აკიდოებითა და ხილით უმასპინძლდებიან მეომრებს.

გაისმის ომახიანი, გულში ჩამწვდომი სიმღერები, რომლებიც საბჭოთა ხალხს მტრის შემუსვრისაკენ მოუწოდებენ. მას მღერიან ქართველი ლეიტენანტიც და უკრაინელი კაპიტანიც, სხვადასხვა ეროვნების მეომრებიც და ვენახში ყურძნისა და ხილის მკრეფავი ქალიშვილებიც.

ხალხთა დიადი მეგობრობა, არმიისა და ყველა მშრომელთა ძმური ერთიანობა იყო დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვების ერთ-ერთი მძლავრი ძალა, გამარჯვების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა. ეს იდეა შესანიშნავად არის ხორცშესხმული და გადმოცემული ფილმში.

... მეავტომატეთა ოცეული მიადგა გერგეტის უძველეს ციხე-სიმაგრეს, რომლის მახლობლადაც მოჩანს საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის სახელოვან მებრძოლთა შორის ყველაზე განთქმული რაინდის ძეგლი. ამ ციხე-სიმაგრეს დარაჯობს ჭაღარა მამუკა, რომელიც არა მარტო ამ ციხე-სიმაგრის შესასვლელს იცავს, არამედ მის შესახებ უძველეს საგმირო თქმულებასაც უნახავს მომავალ თაობას. კაპიტანი თხოვს მამუკას უამბოს მეომრებს ამ უძველეს ამბავთა შესახებ. და აი მამუკა საბჭოთა მეომრებს თვალწინ გადმოუშლის ქართველი ხალხის მიერ თავისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლების მთელ ეპოქას, იგი უამბობს ლეგენდარული რაინდის ჯურღაის ვაჟკაცობასა და გმირობაზე. მაყურებლის წინაშე ჯურღაი წარმოდგება მთელი თავისი რაინდული თვისებებით...

ამრიგად, ჯურღაის ფარი ხდება პოეტურ სიმბოლოდ ჩვენი ქვეყნის ხალხთა ერთიანობისა, რომელიც აღდგა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის დიდი სამამულო ომის დღეებში.

ფილმის უკანასკნელ კადრებს კვლავ გადავყავართ 1942 წლის საფრონტო გზებზე. ცეცხლის ხაზისაკენ მიემართებიან ქვეითების საბრძოლო რაზმეულებად დაწყობილი კოლონები. ფრონტისაკენ ისწრაფვიან სტალინური შევარდნები თავიანთი მრისხანე საჰაერო ხომალდებით. ამხანაგ სტალინის სახელით მიდიან ბრძოლაში საბჭოთა მეომრები. ამხანაგ სტალინისადმი, ხალხთა დიდი განმათავისუფლებლისადმი, რომელმაც მთელი მსოფლიო იხსნა ჰიტლერული მონობისაგან, მიძღვნილია ფილმის დამამთავრებელი ჰიმნი.

დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ქართველ მეომრებში კინოფილმმა „ჯურღაის ფარმა". 1944 წლის ნოემბერში მოქმედი არმიიდან გაზეთ „კომუნისტისათვის" გამოგზავნილ წერილში ქართველ მეომართა ჯგუფი იწერებოდა:

„დღეს, 1944 წლის 26 ნოემბერს, ჩვენ ვნახეთ თბილისის კინოსტუდიის მიერ დადგმული კინოსურათი „ჯურღაის ფარი".

ძნელია იმის გადმოცემა, რაც ჩვენ განვიცადეთ, როდესაც სურათს ვუყურებდით. თავს ისე ვგრძნობდით, თითქოს ჩვენს მშობლიურ საქართველოში, თბილისში ვყოფილიყავით. ამ სურათმა მოგვაგონა ჩვენი სამშობლოს გმირული წარსული, ჩვენი წინაპრების ბრძოლები და გამარჯვებანი.

ბევრი ტკბილი გრძნობა და მოგონება გაგვიღვიძა „ჯურღაის ფარმა". შორს აღარ არის ის დღე, როდესაც მტერს საბოლოოდ დავამარცხებთ და კვლავ მოვალთ საყვარელ მზიურ საქართველოში...

აქ ჩვენთან არიან სხვა მოძმე რესპუბლიკების ხალხთა შვილები. მათაც ძლიერ მოეწონათ „ჯურღაის ფარი"...

სამამულო ომის დროს მრავალი მეომარი გამოეხმაურა ამ ფილმს ასეთი წერილებით.

კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს, რომ კინოკონცერტის—„ჯურღაის ფარის" ყველა ნომერი ორგანულად არის ერთმანეთთან დაკავშირებული. საქართველოს სასიმღერო და საცეკვაო ფოლკლორი, შესანიშნავი ქართული ხალხური მუსიკის ნიმუშები შევსებულია ქართული პოპულარული ოპერების საუკეთესო არიებით. ფილმში ფართოდ არის გამოყენებული კომპოზიტორების ზ. ფალიაშვილის, დ. არაყიშვილის, მ. ბალანჩივაძის, ა. ბალანჩივაძის, ა. ანდრიაშვილის, ვ. მურადელისა და გ. კილაძის ნაწარმოებნი. მაყურებელი განსაკუთრებული ინტერესით ისმენს ფრაგმენტებს ქართული პოპულარული ოპერებიდან — „დაისი", „აბესალომ და ეთერი", „შოთა რუსთაველი", „დარეჯან ცბიერი", ბალეტიდან „მთების გული" და სხვ.

ამ შესანიშნავი კინოფილმის მიზანი მარტო იმით არ განისაზღვრება, რომ გასწიოს კლასიკური და თანამედროვე ქართული ხელოვნების საუკეთესო ნიმუშების პოპულარიზაცია. კინოკონცერტი თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის, მათი კულტურული თანამეგობრობის იდეებით. ამას ნათლად მოწმობს ფილმის სხვადასხვა კადრებში შეტანილი გამოჩენილ რუს კომპოზიტორთა ნაწარმოებნი. ამ მხრივ განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ტოვებს ერიომკას სიმღერა ა. სეროვის ოპერიდან „მტრის ძალა". მაყურებელი ქართულ მელოდიურ სიმღერებთან ერთად გულთბილად იღებს უკრაინულ მხიარულ ჰანგებსა და პოპულარულ რუსულ სიმღერებს.

ფილმის წარმატებას უდავოდ უწყობს ხელს შემსრულებელთა საუკეთესოდ შერჩევა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მამაცი და კეთილშობილი ჯურღაის როლის განსახიერება არტისტ დავით გამრეკელის მიერ. შესანიშნავად ასრულებენ როლს დ. ბადრიძე (ლეიტენანტი), მ. გრიშკო (კაპიტანი) და ნ. ჩასტი (ბოიარინი). დასამახსოვრებელი სახეები შექმნეს მ. ჯაფარიძემ (ეთერი), გ. გრიგორაშვილმა (მამუკა) და ნ. მიქელაძემ (კოლმეურნე ქალიშვილი). მომხიბლავია ფილმის ფრაგმენტი, რომელშიც ესტრადის შემსრულებელთა საკავშირო კონკურსის ლაურეატი ქეთო ჯაფარიძე მებრძოლებთან ერთად მღერის ვ. სოლოვიოვ-სედოის პოპულარულ სიმღერას „სღამო რეიდზე" და კომპოზიტორ ა. ბალანჩივაძის სიმღერას „გადასასვლელთან".

მაყურებელთა დიდ მოწონებას იმსახურებს ქორეოგრაფიული ხელოვნების გამოჩენილი ოსტატის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ვახტანგ ჭაბუკიანის მიერ შესრულებული შესანიშნავი ქართული ხალხური ცეკვები.

ფილმის დამდგმელი შემოქმედებითი კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ დიდი გემოვნებითა და ოსტატობით შექმნეს ამაღლვებელი კინონაწარმოები ვაჟკაცობასა და ხალხთა მეგობრობაზე, რომელიც გამსჭვალულია საბჭოთა ხალხის უძლეველობისა და ძლიერების ურყევი რწმენით.

ა. კოკილაშვილი

* „ჯურღაის ფარი", მხატვრული მუსიკალური ფილმი. თბილისის ლენინის ორდენოსანი კინოსტუდიის ნაწარმოები. სცენარის ავტორები —გ. ლეონიძე, ს. დოლიძე, დ. რონდელი. დადგმა რეჟისორების ს. დოლიძისა და დ. რონდელისა. ოპერატორები — კ. კუზნეცოვი და ა. პოლიკევიჩი.

ფართოვდება და ძლიერდება მშვიდობის ფრონტი

ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მებრძოლები და მეთაურები ხელს აწერენ სტოკჰოლმის მოწოდებას

შანხაი, 7 ივნისი. (საქდესი). გაზეთი „ძეფანგიბაო" იუწყება, რომ ნანკინის გარნიზონის, აღმოსავლეთ ჩინეთის სამხედრო ოლქის ჯარებისა და მე-3 საველე არმიის მებრძოლები და მეთაურები მხურვალედ გამოეხმაურნენ მიმართვას — ხელი მოაწერონ მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მოწოდებას. არასრული ცნობებით, მოწოდებას ხელი მოაწერა 100 ათასამდე მებრძოლმა და მეთაურმა.

შანხაის გარნიზონის სხვადასხვა ნაწილის გაზეთებმა მრავალ ცალად დაბეჭდეს და გაავრცელეს სტოკჰოლმის მოწოდება. ერთი სამხედრო-საზღვაო ნაწილის მატროსებმა და ოფიცრებმა წერილობით განაცხადეს: „ჩვენ უფრო მტკიცედ დავირაზმებით და გავაძლიერებთ მზადებას იმისათვის, რომ გავათავისუფლოთ ტაივანი და ძინმინი, მთლიანად მოვსპოთ გომინდანელი ბანდიტების ნაშთები და უზრუნველვყოთ საყოველთაო მშვიდობის დაცვა".

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და პოლონეთის შეთანხმებანი

ვარშავა, 7 ივნისი. (საქდესი). პოლონეთის ბეჭდვითი სიტყვის სააგენტომ გამოაქვეყნა შემდეგი ცნობა:

ამა წლის 5 და 6 ივნისს ვარშავაში იმყოფებოდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია პრემიერ-მინისტრის მოადგილის ულბრიხტის მეთაურობით.

დელეგაციისა და პოლონეთის მთავრობის მოლაპარაკების დროს განიხილეს საკითხები, რომლებიც ორივე მთავრობას აინტერესებდა და რომლებიც მიმართულია მშვიდობის შენარჩუნებისაკენ. მოლაპარაკების შედეგად მიღწეულია შეთანხმება პოლონეთისა და გერმანიის სახელმწიფო საზღვრის ოდერ-ნაისეზე დემარკაციის შესახებ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის პოლონეთში ყოფნის დროს გადაიდგა დიდი ნაბიჯი ორივე ქვეყანას შორის ეკონომიური ურთიერთობის განმტკიცების დარგში და ხელმოწერილ იქნა შეთანხმება 1950 წლისათვის საქონელგაცვლისა და გადასახდელთა შესახებ, რაც უზრუნველყოფს ვაჭრობის 60 და მეტი პროცენტით გადიდებას შარშანდელთან შედარებით. გარდა ამისა, ხელმოწერილია შეთანხმება პოლონეთის მიერ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისათვის კრედიტების მიცემის შესახებ. დაიდო აგრეთვე შეთანხმება ტექნიკურ და სამეცნიერო თანამშრომლობაზე, რომელიც უზრუნველყოფს წარმოების მეთოდების გამოცდილების ურთიერთგამოყენებას, აგრეთვე ურთიერთისათვის ტექნიკური დახმარების გაწევას.

ორივე მხარემ ერთმანეთს მიაწოდა ინფორმაცია პოლონეთის ექვსწლიანი გეგმისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხუთწლიანი გეგმის შესახებ. საქონელგაცვლის გეგმიანი განვითარების მიზნით ორივე მხარემ გადაწყვიტა მიმდინარე წლის აგვისტოში შეუდგენ საქონელგაცვლის შესახებ გრძელვადიანი შეთანხმების განხილვას.

გარდა ამისა, ხელმოწერილ იქნა ოქმი კულტურული ურთიერთობის შესახებ. ოქმი ითვალისწინებს მეცნიერების დარგში მიღწევათა გაცვლას, მეცნიერულ ნაშრომთა და მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებთა გაცვლას, აგრეთვე თანამშრომლობას კინოსა და რადიოს დარგში. ორივე ქვეყანა ერთმანეთს მიაწვდის ინფორმაციას სწავლებისა და ფიზიკური აღზრდის პროგრამებისა და ორგანიზაციის შესახებ.

მოლაპარაკება მიმდინარეობდა მეგობრობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში.

გუშინ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია ვარშავიდან გაემგზავრა.

პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის კომუნიკეში ნათქვამია: პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობამ და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი მთავრობის დელეგაციამ, მხურვალედ სურთ რა განამტკიცონ მშვიდობა და გაამრავლონ ძალები მშვიდობის ბანაკისა, რომელიც საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობით იბრძვის იმპერიალისტური ძალებს ხრიკების წინააღმდეგ, და ითვალისწინებენ რა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიღწევებს ახალი დემოკრატიული წესრიგის განმტკიცებისა და იმ ძალების განვითარების საქმეში, რომლებიც დარაზმული არიან ეროვნული ფრონტის გარშემო, გადაწყვიტეს, რომ პოლონელი და გერმანელი ხალხების კეთილმეზობლური ურთიერთობისა და მეგობრობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას საფუძვლად უდევს ორივე სახელმწიფოს შორის ოდერ-ნაისეზე დაწესებული და არსებული, მშვიდობისა და მეგობრობის ურღვევი საზღვრის დემარკაცია. ამრიგად, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ადასტურებს პრემიერ-მინისტრ გროტევოლის 1949 წლის 12 ოქტომბრის განცხადებას. ზემოხსენებულის შესასრულებლად ორივე მხარემ გადაწყვიტა ერთობლივ განახორციელონ ოდერ-ნაისეზე დაწესებული და არსებული საზღვრის დემარკაცია, აგრეთვე მოაწესრიგონ მცირე სასაზღვრო მოძრაობის საკითხი და ნაოსნობა სასაზღვრო ზოლის წყლებში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დაახლოებით 17 მილიონმა მცხოვრებმა მოაწერა ხელი სტოკჰოლმის მოწოდებას

ბერლინი, 7 ივნისი. (საქდესი). გაზეთებმა გამოაქვეყნეს მშვიდობისათვის მებრძოლთა გერმანიის კომიტეტის ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მოწოდებას ატომური იარაღის სრული აკრძალვის შესახებ ხელი მოაწერა უკვე 16.919.894 კაცმა.

ამრიგად, რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის 90,7 პროცენტმა გამოხატა თავისი გადაწყვეტილება აღკვეთოს ომის გამჩაღებელთა ხრიკები. ეს შედეგი მშვიდობის მომხრეთა დიდი წარმატებაა.

გაიხსნა ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობის კავშირის პირველი ყრილობა

პრაღა, 7 ივნისი. (საქდესი). დღეს პრაღაში გაიხსნა ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობის კავშირის პირველი ყრილობა. რესპუბლიკის ყველა კუთხიდან ყრილობაზე ჩამოვიდა 2.000 დელეგატი, რომლებიც წარმოადგენენ კავშირის 1 მილიონ წევრს, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ახალი ცხოვრების აქტიურ მშენებლებს.

ყრილობის გახსნას დაესწრნენ: ჩეხოსლოვაკიის მთავრობის წევრები პრემიერ-მინისტრ ზაპოტოცკის მეთაურობით, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიისა და ეროვნულ ფრონტში შემავალი სხვა პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ყრილობაზე ჩამოვიდნენ სსრ კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების, აგრეთვე იტალიის, საფრანგეთისა და მთელი რიგი სხვა კაპიტალისტური ქვეყნების ახალგაზრდობის ორგანიზაციების დელეგაციები, დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციისა და სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის წარმომადგენლები.

ყრილობა გახსნა ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრმა ჩერვინკამ. როცა მან ახსენა საბჭოთა კავშირი—ჩეხოსლოვაკიის ხალხების საუკეთესო მეგობარი და განმათავისუფლებელი, ყველა დელეგატი ადგა და მქუხარე ოვაცია გამართა.

ყრილობის დელეგატებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს საბჭოთა ახალგაზრდობის დელეგაციის ხელმძღვანელის, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. შელეპინის სიტყვა. ამხ. შელეპინის საბოლოო სიტყვებს, რომელმაც დღეგრძელობა უსურვა სახალხო-დემოკრატიული ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობას, ჩეხოსლოვაკიის მშრომელთა ბელადს გოტვალდს, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობის სამარადისო მეგობრობას, მთელი მსოფლიოს დიდ ბელადს, ყველა ქვეყნის ახალგაზრდობის საუკეთესო მეგობარსა და მასწავლებელს ი. ბ. სტალინს, ყრილობა მქუხარე ოვაციით შეხვდა. დარბაზში გაისმა შეძახილები: „გაუმარჯოს სტალინს!", „გაუმარჯოს კომკავშირს!".

ყრილობის დელეგატები, მრავალი სტუმარი, რომლებიც ჩეხოსლოვაკიის ფართო საზოგადოებრიობას წარმოადგენენ, გულთბილად შეხვდნენ ყრილობაზე მოსულ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტს, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელს კლემენტ გოტვალდს.

კლემენტ გოტვალდმა წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც აღნიშნა ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობის კავშირისა და მთელი ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობის დიდი წარმატება ახალი სოციალისტური რესპუბლიკის მშენებლობის საქმეში. დასასრულ გოტვალდმა ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობას უსურვა ისწავლოს ლენინურ-სტალინური კომკავშირისა და საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობის მაგალითით.

პრეზიდენტ გოტვალდის სიტყვის შემდეგ ყრილობას მიესალმა ჩეხოსლოვაკიის პიონერთა დელეგაცია.

საღამოს სხდომაზე მოხსენება ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის მუშაობისა და მისი შემდგომი ამოცანების შესახებ გააკეთა ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობის კავშირის თავმჯდომარემ ზდენეკ გეიზლარმა.

გეიზლარის მოხსენების შემდეგ დელეგატებმა კვლავ გამართეს მქუხარე ოვაცია გმირი საბჭოთა ხალხის პატივსაცემად, ლენინურ-სტალინური კომკავშირისა და საბჭოთა ახალგაზრდობის პატივსაცემად, რომელიც ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით მტკიცედ მიდის წინ სსრ კავშირში კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ, ახალგაზრდობის დიდი მასწავლებლის ამხანაგ ი. ბ. სტალინის პატივსაცემად.

იაპონიის კომპარტიის მიმართვა იაპონელი პატრიოტებისადმი

შანხაი, 7 ივნისი. (საქდესი). როგორც ტოკიოდან იუწყებიან, გაზეთმა „აკაჰატამ" გამოაქვეყნა იაპონიის კომპარტიის მიმართვა ყველა იაპონელი პატრიოტისადმი. მიმართვაში ნათქვამია:

„მხეცური რეპრესიები იოსიდას კაბინეტისა, რომელმაც იაპონიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყველა წევრის წმენდა მოაწყო, პოტსდამის დეკლარაციის და შორეული აღმოსავლეთის კომისიის 16 პრინციპის პირდაპირი დარღვევა ნათლად მოწმობს, რომ საერთაშორისო რეაქციის ძალები, რომლებიც დამარცხდნენ მთელ მსოფლიოში და, კერძოდ, აზიაში, სადაც ისინი ჩიხში მოემწყვდნენ და იძულებული გახდნენ საერთო უკანდახევა დაეწყოთ, ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა სამხედრო ბაზად გადააქციონ ჩვენი სამშობლო. შინაგანმა და გარეშე რეაქციამ ვერ შეძლო ჩაეხშო მოღვაწეობა ჩვენი პარტიისა, რომელიც ამას წინათ მომხდარ არჩევნებში მამაცურად იბრძოდა სამხედრო ბაზების შექმნის წინააღმდეგ, ეროვნული დამოუკიდებლობისა და მშვიდობის დასაცავად. ამიტომ რეაქცია უკიდურესობაში ვარდება სასიკვდილოდ დაჭრილი მხეცივით.

მთელი ჩვენი ქვეყნის პატრიოტებო! ეს რეპრესიები ჩვენი პარტიის წინააღმდეგ, რასაც შინაგანი და გარეშე რეაქცია ახორციელებს, სხვა არა არის რა, თუ არ მთელი ხალხის წინააღმდეგ გალაშქრება.

ჰიტლერისა და ტოჯოს მაგალითები ცხადყოფენ, რომ თუ თქვენ თუნდაც ერთი ნაბიჯით დაიხიეთ უკან ასეთი მუქარის წინაშე, მთელი ხალხის თავისუფლება ფეხქვეშ გაითელება, ხოლო მთელი ერი მონობაში ჩავარდება.

პატრიოტებო! მოგიწოდებთ დაირაზმოთ ჩვენთან ერთად ჩვენი პარტიის დასაცავად, რათა თავიდან ავიცილოთ ჩვენი საყვარელი სამშობლოს დანგრევა მესამე მსოფლიო ომისათვის მის ბაზად გადაქცევის გამო და დავიცვათ ჩვენი ერის დამოუკიდებლობა.

ვერავითარი რეპრესია ვერ დაარღვევს ჩვენი პარტიის მტკიცე კავშირს ხალხთან, ვერავითარი რეპრესია ვერ გასტეხს ჩვენს პარტიასა და ერს. მსოფლიო ისტორია გვიჩვენებს, რომ სანამ ჩვენი პარტია წინ მიდის მთელ პატრიოტ ხალხთან ერთად, იგი მუდამ ცოცხალი იქნება.

ამჟამად მთელი კაცობრიობის 40 პროცენტი კომპარტიებთან ერთად აშენებს სახალხო-დემოკრატიულ და სოციალისტურ სახელმწიფოებს — მშვიდობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ბურჯს. მალე ჩვენს სამშობლოსაც გაუთენდება.

მთელი ჩვენი ქვეყნის პატრიოტებო! დაირაზმეთ გადამწყვეტი მასობრივი მოქმედებისათვის მუშების მეთაურობით, რათა გავფანტოთ განთიადის წინა წყვდიადი. სიმართლე ჩვენი პარტიისა და ჩვენი ქვეყნის ყველა პატრიოტის მხარეზეა და გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება.

1950 წლის 6 ივნისი. იაპონიის კომუნისტური პარტია".

სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის მე-15 ტირაჟი

ოფიციალური ცხრილი

მოგებათა მე-15 ტირაჟისა, რომელიც შედგა 1950 წლის 30 მაისს ქალაქ დონის როსტოვში, მოგება ხვდა სესხის სამსავე თანრიგში სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგებათა რაოდენობა მანეთობით	სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგებათა რაოდენობა მანეთობით	სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგებათა რაოდენობა მანეთობით	სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგებათა რაოდენობა მანეთობით
000031	31*)	25 000	024363	17*)	5 000	049455	1—50	400	071238	29*)	5 000
000175	18*)	5 000	024703	1—50	1 000	049644	37*)	25 000	071974	41*)	5 000
000736	01*)	5 000	025588	34*)	5 000	050312	1—50	400	072763	19*)	5 000
001131	24*)	10 000	025783	24*)	5 000	050658	10*)	5 000	073269	04*)	10 000
001351	45*)	5 000	026015	1—50	1 000	051438	1—50	400	073660	45*)	10 000
001494	1—50	400	029084	10*)	5 000	051567	46*)	5 000	074377	24*)	25 000
001579	37*)	10 000	029123	1—50	400	051639	34*)	5 000	074423	1—50	1 000
001797	31*)	50 000	029308	1—50	400	051975	1—50	1 000	075257	1—50	400
002128	48*)	5 000	029365	07*)	5 000	052179	1—50	400	075501	19*)	5 000
003182	1—50	400	030034	41*)	5 000	052339	41*)	5 000	075641	09*)	5 000
003795	18*)	5 000	030281	39*)	10 000	052432	16*)	10 000	075884	1—50	400
004021	40*)	10 000	032608	17*)	5 000	053905	19*)	5 000	076686	1—50	400
004286	04*)	5 000	033366	02*)	5 000	053961	1—50	1 000	077097	1—50	1 000
004721	20*)	10 000	033828	03*)	10 000	054632	45*)	5 000	077629	1—50	400
005513	46*)	5 000	034372	36*)	5 000	055191	21*)	5 000	078365	1—50	1 000
005780	23*)	10 000	034438	45*)	10 000	055864	41*)	5 000	078689	1—50	400
005965	24*)	5 000	035037	11*)	25 000	055922	1—50	400	080330	47*)	5 000
005993	46*)	5 000	037151	43*)	5 000	056120	15*)	5 000	081227	01*)	10 000
007188	1—50	400	037835	42*)	5 000	056387	11*)	5 000	081524	08*)	5 000
007910	32*)	25 000	038025	35*)	5 000	056695	1—50	400	081976	48*)	5 000
010543	1—50	400	038357	15*)	5 000	057007	36*)	5 000	082441	31*)	10 000
010990	13*)	5 000	038976	21*)	5 000	057631	43*)	5 000	082568	07*)	5 000
011093	50*)	10 000	039262	45*)	10 000	058143	1—50	400	084917	22*)	10 000
012096	1—50	400	039606	1—50	400	058319	1—50	1 000	085525	1—50	400
012568	12*)	5 000	040536	40*)	5 000	058743	40*)	5 000	085900	17*)	5 000
014284	10*)	5 000	040953	33*)	5 000	058956	1—50	400	086779	39*)	5 000
016039	48*)	5 000	042195	1—50	400	059250	34*)	5 000	086842	12*)	10 000
016636	1—50	1 000	042760	16*)	5 000	060259	02*)	5 000	088268	46*)	10 000
017341	01*)	5 000	042912	1—50	1 000	061050	06*)	5 000	088461	1—50	400
017575	1—50	400	042971	1—50	400	062716	36*)	5 000	088823	15*)	5 000
018386	1—50	400	043493	24*)	10 000	063052	05*)	5 000	091886	19*)	10 000
018964	14*)	5 000	044071	17*)	50 000	063673	09*)	5 000	091989	1—50	400
019066	18*)	10 000	044110	12*)	5 000	063687	20*)	5 000	092762	03*)	5 000
019173	1—50	400	044390	09*)	5 000	063914	1—50	400	094290	1—50	400
019229	43*)	5 000	045434	1—50	400	064798	24*)	5 000	094319	1—50	400
019292	10*)	10 000	046043	1—50	400	065742	1—50	400	094888	11*)	5 000
020306	42*)	5 000	046989	1—50	1 000	067216	08*)	5 000	095261	11*)	5 000
021314	1—50	400	047351	27*)	5 000	069460	13*)	10 000	095672	1—50	400
022000	1—50	400	047393	1—50	1 000	069791	1—50	1 000	097218	1—50	400
023055	1—50	400	048237	1—50	400	070116	07*)	10 000	097882	43*)	5 000
023288	34*)	5 000	049256	38*)	5 000	070170	14*)	5 000	098240	1—50	400
023294	14*)	5 000	049334	1—50	400	070487	1—50	1 000	099055	25*)	10 000
024355	1—50	400							099422	38*)	5 000

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა ოთხას-ოთხასი მანეთი მოგება.

მოგებათა ტირაჟის მომწყობი კომისიის თავმჯდომარე მშრომელთა დეპუტატების დონის როსტოვის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ქ. ზ. ბარკუშენკო.**

თავმჯდომარის მოადგილეები:

სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროების მთავარი სამმართველოს ცენტრალური ბუღალტერიის უფროსი **ვ. ა. მიტინი.**

მშრომელთა დეპუტატების როსტოვის საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ი. ვ. ხორენკო.**

საკავშირო კ. პ. (ბ) დონის როსტოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი **ა. დ. ჩერნიახოვსკი**

როსტოვის საოლქო საფინანსო განყოფილების გამგე საფინანსო სამსახურის III რანგის სახელმწიფო მრჩეველი **ი. ვ. ბრეჩკო.**

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი **ს. დ. ვორონკოვი.**

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ი. ვ. მიჩურინის გარდაცვალების 15 წლისთავის შესახებ

ბერლინი, 8 ივნისი. (საქდესი). როგორც ადენის სააგენტო იუწყება, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ბუნების დიდი რუსი გარდამქმნელის ი. ვ. მიჩურინის გარდაცვალების 15 წლისთავთან დაკავშირებით გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც აღნიშნავს ი. ვ. მიჩურინის თვალსაჩინო დამსახურებას პროგრესული აგრობიოლოგიური მეცნიერების გამდიდრების საქმეში.

„მთავრობა, — ნათქვამია, სხვათა შორის, განცხადებაში, — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა პროგრესულ მეცნიერს ურჩევს აკადემიებში, უნივერსიტეტებში, ინსტიტუტებში, საკვლევ დაწესებულებებსა და სკოლებში ინტენსიურად და მთელი სერიოზულობით შეისწავლონ მიჩურინის მოძღვრება—ჩვენს გერმანიის სოფლის მეურნეობაში ძალების ახალი წყაროს გამოვლინების ეს უმნიშვნელოვანესი ბერკეტი".

დასავლეთ გერმანიაში სდევნიან მშვიდობისათვის მებრძოლ ახალგაზრდებს

ბერლინი, 7 ივნისი. (საქდესი). ბონის სააგენტოს ცნობით, დასავლეთ გერმანიის მეწარმენი სამუშაოდან ითხოვენ მშვიდობისათვის მებრძოლ ახალგაზრდებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სრულიად გერმანიის ახალგაზრდობის ბერლინის შეკრებაში. ჰამბურგის სამშენებლო ფირმის 10 მოსამსახურე უკანონოდ დაითხოვეს სამუშაოდან იმ საბაბით, თითქოს მათ სამუშაო გააცდინეს.

ფირმა „ამერიკენ ტობაკო კომპანის" მდივანი დაითხოვეს სრულიად გერმანიის ახალგაზრდობის შეკრებაში მონაწილეობისათვის და ახლა იძულებულია შიკრიკად იმუშაოს. გარდა ამისა, მას სასტიკ თვალყურს ადევნებენ. გაჩხრიკეს მისი მშობლები.

რეპრესიები მშვიდობის მომხრეთა წინააღმდეგ აღშფოთებას იწვევს დასავლეთ გერმანიის მოსახლეობაში. ჰამბურგის ერთ-ერთი დიდი საწარმოს საწარმოო საბჭომ გააპროტესტა სრულიად გერმანიის ახალგაზრდობის შეკრების მონაწილეთა დათხოვნა „გაცდენისათვის", რაც გამოწვეული იყო საზღვარზე დასავლეთ გერმანიის პოლიციის უკანონო მოქმედებით.

ფეხბურთი

გუშინ, 8 ივნისს მოსკოვში, ლენინგრადში, მინსკში, ბაქოსა და ერევანში შედგა ფეხბურთში სსრ კავშირის 1950 წლის პირველობის გათამაშების კალენდარული მატჩები.

მოსკოვში „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ ჩვენი ქვეყნის გასული წლის ჩემპიონ მოსკოვის „დინამოს" და მოსკოვის „ცდკა"-ს გუნდები. მატჩი დამთავრდა არმიელ ფეხბურთელთა გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 2:0.

ლენინგრადში ადგილობრივი „დინამო" დამარცხდა კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის" გუნდთან ანგარიშით 1:2. რიგის „დაუგავამ" მოუგო მინსკის „დინამოს" ანგარიშით 4:2. ხარკოვის „ლოკომოტივმა" ბაქოში დაამარცხა ადგილობრივი „ნეფტიანიკის" გუნდი ანგარიშით 2:0, ხოლო ერევნის „დინამომ" — მოსკოვის „ლოკომოტივი" ანგარიშით 3:1.

ლექცია

9 ივნისს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის აუდიტორიაში (ფურცელაძის ქ. № 1) აწყობს დოცენტ **ს. სახაროვის** ლექციას თემაზე: **„რელიგიის კლასობრივი არსი".**

ლექციის შემდეგ ნაჩვენები იქნება კინოსურათი **„ქაჯანა".**

ბილეთების წინასწარ შეძენა შეიძლება საზოგადოების რწმუნებულებთან. ლექციის დღეს—სალაროში.

ბელგიის მთავრობის შედგენა

პარიზი, 7 ივნისი. (საქდესი). ფრანს პრესის სააგენტო ბრიუსელიდან იუწყება, რომ პრინც-რეგენტმა მიიღო უკანასკნელი მთავრობის ეკონომიკის მინისტრი და სოციალურ-ქრისტიანული პარტიის წევრი ჟან დიუვიეზარი, რომელსაც დაავალა მთავრობის შედგენა. ჟან დიუვიეზარმა თანხმობა განაცხადა მთავრობის შედგენაზე.

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1224 და 49,59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

10 ივნისს

7.20 — გადაცემა გლეხობისათვის: „მეტი სილოსი პირუტყვისათვის". 9.15 — კონცერტი. პროგრამაშია კომპოზიტორ ნიაზის სიმფონიური ნაწარმოები. 17.20 — ქართული ხალხური სიმღერები. 17.40 — საუბარი მოსწავლეთათვის: „არქეოლოგიური გათხრები". 18.20 — ქართველ კომპოზიტორთა რომანსები პუშკინის სიტყვებზე რადიოკომიტეტის სოლისტის თ. ბახტაძის შესრულებით. 19.00 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის: „კიროვის სახელობის ქარხნის კომკავშირელი სტახანოველები". 19.30 — სტალინოს „შახტიორისა" და თბილისის „სპარტაკის" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების მატჩის მეორე ნახევრის ტრანსლაცია თბილისის ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონიდან. 20.30 — კონცერტი საქართველოს რადიოკომიტეტის სოლისტის ლევან დევდარიანის შესრულებით. 20.45 — საუბარი: „ახალი ჩინეთის ლიტერატურა". 21.05 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 21.40 — საუბარი „მიღებული ნიშნების მემკვიდრეობა მატერიალისტური ბიოლოგიის საკვანძო პრობლემაა". 23.00 — საცეკვაო მუსიკის კონცერტი.

თეატრებში

9 ივნისს: ოპერისა და ბალეტის — „გედების ტბა" (მე-5 აბ. მე-14 სპექტაკლი); **მარჯანიშვილის სახელობის** — „ხარატაანთ კერა" (სოხუმის თეატრის სპექტაკლი); **გრიბოედოვის სახელობის** — „უკანასკნელი მსხვერპლი"; **სომხური დრამის** — „სამოქალაქო სიკვდილი" (ვ. ფაფაზიანის მონაწილეობით); **მუსიკალური კომედიის** — „ჩემი გიუზელი". **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—„სიჭაბუკე ბელადისა" (მე-40 აბ. 7 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — „შინ დაბრუნება მინდა" (102, 103 აბ. 10 ს. 7 ს. 109 აბ. 2 ს. 77 აბ. 7 ს.).

კინოებში

9 ივნისს: რუსთაველის სახელობის—„ჯურღაის ფარი"; **„ოქტომბერი"** — „ის იცავს სამშობლოს"; **„ამირანი"** — „ის კიდევ დაბრუნდება" (საზამთრო დარბაზი), „რაიკომის მდივანი" (საზაფხულო დარბაზი); **„თბილისი"** — „ინდოეთის აკლდამა" (მეორე სერია); **„სპარტაკი"**— „დარიკო" (საღამოს), „პეტრე პირველი" (დღისით, პირველი და მეორე სერია); **„კომკავშირელი"** — „პეპო" (საზამთრო დარბაზი), „ტრაქტორისტები" (საზაფხულო დარბაზი); **26 კომისრის სახელობის** — „მაღალი ჯილდო" (პირველი დარბაზი), „უკვდავი კაშჩეი" (მეორე დარბაზი), „ყუბანელი კაზაკები" (საზაფხულო დარბაზი); **„კოლმეურნე"** — „აკრძალული სიმღერები"; **„იხანი"** — „საღამოს 6 საათზე ომის შემდეგ"; **„ქრონიკა"** — „განახლებული მიწა".

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე, ა. წ. 20 ივნისს, დღის 3 საათზე, ინსტიტუტის აუდიტორიაში (ჭელიძიშვილის ქ. № 16), დაიცავენ დისერტაციას:

ალექსანდრე ივანეს-ძე ჩუბინიძე—მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: **„მასალები პირველადი ტუბერკულოზური კომპლექსის პათომორფოლოგიის შესწავლისათვის ბავშვთა ასაკში".**

ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი **ა. ჯორბენაძე** და დოცენტი **ა. უშვერიძე.**

პავლე ივლიანეს-ძე ხუხუნაიშვილი—ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: **„ღვიძლის მასის შეფარდება მკვებავი არტერიის დიამეტრთან და მისი გავლენა ზოგიერთ ნივთიერებათა ცვლაზე".**

ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი **დ. იაშვილი** და პროფესორი **ი. ფაილოძე.**

შრომების გაცნობა შეიძლება სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქ. № 2).

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს **თბილისის საფერშლო სკოლა № 8** აცხადებს მიღებას 1950-51 სასწავლო წლისათვის.

სკოლა ამზადებს საშუალო კვალიფიკაციის ფერშლებს. კურსდამთავრებულთ ეძლევათ უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლება (ფრიადოსნები მიიღებიან უგამოცდოდ).

სკოლაში მიიღებიან ორივე სქესის 15-30 წლის მოქალაქენი, რომელთაც დამთავრებული აქვთ 8 კლასი, ან გამოსული არიან IX, X და XI კლასიდან, აგრეთვე ის პირნი, რომელთაც 7 კლასი დაამთავრეს 1946 წლამდე. 1949 და 1950 წლებში VIII და XI კლასდამთავრებული ფრიადოსანი მოსწავლეები საერთო წესით ჩაირიცხებიან უგამოცდოდ, დანარჩენები გამოცდას აბარებენ 8 კლასის ფარგლებში.

სწავლის ვადა 3 წელია.

გამოცდები იწარმოებს შემდეგ საგნებში: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), მათემატიკაში, სსრ კავშირის კონსტიტუციაში.

განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას: მოწმობა განათლების შესახებ (დედანი), მეტრიკული ამონაწერი, ავტობიოგრაფია, სამი ფოტოსურათი ზომით 3×4, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ.

განცხადება მიიღება ყოველდღე 31 ივლისამდე.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 5-დან 20 აგვისტომდე. ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით, საერთო წესით.

განცხადება მიიღება დირექტორის სახელზე საღამოს 5-დან 9 საათამდე. მისამართი: თბილისი, ორჯონიკიძის რაიონი, პეტრიაშვილის ქ. № 3, II სართული.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს **მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი და რესპუბლიკური ფსიქონევროლოგიის დისპანსერი** აცხადებენ **კონკურსს** შემდეგ ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად:

ინსტიტუტში: ექიმი ორდინატორი — 1, დისპანსერში: ექიმი ფსიქიატრი — 1, ექიმი ფიზიოთერაპიის განყოფილების გამგე (თერაპევტი) — 1. კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებას დართული უნდა ჰქონდეს: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, ცნობა უმაღლესი განათლების და საქმიანი დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან.

კონკურსის ვადაა 15 დღე განცხადების გამოქვეყნების დღიდან. განცხადება მიიღება მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის და ფსიქონევროლოგიის დისპანსერის მთავარი ექიმის სახელზე.

თბილისი, ელექტრონის შესახვევი № 4.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი აცხადებს, რომ 1950 წლის 20 ივნისს, დღის 2 საათზე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სასხდომო დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე ეთნოგრაფიის განყოფილების უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი **ილია ვალერიანის-ძე ჭუღნია** ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში" (ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით).**

ოფიციალური ოპონენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **ი. ცინცაძე,** ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **რ. ხარაძე.** დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ძერჟინსკის ქ. № 8, II სართული) სამუშაო საათებში.

მეუღლე მატრონა, შვილები ალიკო (ალექსანდრე), მიშა, ტატიანა, ემა, რძლები თამარა, ანიკო, გალინა, სიძე იოსებ დაჩაბერიძე შვილებით, ბიძაშვილი მარიამი (მაშიკო) იუწყებიან **თედორე ტარიელის-ძე ზერაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-VI სოფელ ცაიში (ამბროლაურის რაიონი).

დედა მანანა, და ნინო, ძალო თამარ მახაშვილები იუწყებიან, რომ 11-VI, 3 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **ირაკლი ილიას-ძე მახაშვილის** პანაშვიდი.

მშობლები ნადია და კონსტანტინე, ბიძა უჩია ოჯახით, ბებია დორა, მამიდები ლუბა, კატო, რიმა ოჯახებით იუწყებიან პატარა **მიშიკო ერგემლიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10-VI, 8 ს. გამოსვენება 11-VI, 3 ს. კლდიაშვილის, 13.

შვილი დიმიტრი დუდუჩავა, რძალი ანიკო მახარაძე, შვილიშვილები ნათელა, ლამარა და მურად დუდუჩავები იუწყებიან **დომნა დუდუჩავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 11-VI საჭამიასერში (ჩოხატაურის რაიონი).

სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის პროპედევტიკული თერაპიის კლინიკის თანამშრომლები იუწყებიან, რომ 11-VI, 1 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია დოცენტ **ივანე ალექსანდრეს-ძე თველავაძის** პანაშვიდი.

დედა შურა, და ნუნუ კოხოძეები, ბებია ვასასი, ბიძები დავით, გრიშა ოჯახებით, დეიდა ქეთევან კოხრეიძეები იუწყებიან, რომ 11-VI, 3 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ლამარა ნიკოლოზის ასულ კოხოძის** პანაშვიდი.

შვილები მარგო, ავთანდილ მარგველაშვილები, ცოლისდები ელენე შალიბაშვილი, ნადია ბურდილაძე, ცოლისძმა იოსებ ჯიკაევი ოჯახებით იუწყებიან **ალექსანდრე წყალობის-ძე მარგველაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-VI, 6 ს. ბორჯომში, ჭავჭავაძის, 12.

შვილები მარო, ნინო და დავით კაპანაძეები, სიძეები შ. ქ. მაისურაძე, გ. ნ. აბრამიშვილი, რძალი სონია, შვილიშვილები იუწყებიან, რომ 11-VI, 2 ს. ქ. ხაშურის სასაფლაოზე დანიშნულია **პეტრე სოლომონის ძე კაპანაძის** პანაშვიდი.

თბილისის 26 კომისრის რაიონის № 3524 ცენტრალური შემნახველი სალაროს თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ა. შელიას მისი დედის **ელისაბედის** გარდაცვალების გამო.

მეუღლე მარო, შვილი გოგონა, ძმა ვანო, რძლები ძაძუ, ვალიდა, ანიკო, ძმისწულები ნათელა, მარინე, გია, ზურაბ, ნარგიზ ბასილაიები, დისწული ნინო ალშიბაია იუწყებიან **გრიგოლ პეტრეს-ძე ბასილაიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 11-VI ზუგდიდში, შაუმიანის, 6.

ე. ლორთქიფანიძე, ვ. კედია, შ. დავითაშვილი, ნ. მესხი, მ. ჭკადუა, მ. ხარაბაძე, მ. ოქიტაშვილი, ნ. ბელიაევი, ი. კაკაბაძე, ვ. ფეიქრიშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ნ. სოლოვიოვას მისი მამის **მიხეილ ალექსანდრეს-ძე სოლოვიოვის** გარდაცვალების გამო.

მეუღლე ანასტასია, შვილები ნინო, ალექსანდრე, თამარ, ნატალია, რძალი ი. შენგელია, სიძეები ვ. ბაქრაძე, ნ. კობიაშვილი, შვილიშვილები გურამ, თენგიზ, მაია, ნუნუ, მიშა იუწყებიან **მიხეილ ალექსანდრეს-ძე სოლოვიოვის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9-VI, 8 ს. გამოსვენება 10-VI, 6 ს. მოსკოვის, 15.

ძმა პეტრე ჯიჯიეიშვილი, დები მარიამ კუპრაძე, იუსტინა მურვანიძე, სოფიო ქარცივაძე, ნადია ჰყონია ოჯახებით იუწყებიან **ლიზა ანტონის ასულ ჰყონიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9-VI, 8 ს. გამოსვენება 10-VI, 6 ს. მახარაძის, 3.

შვილები მიშა, მაკრინე, ნინო, მატა, ქეთო ჰყონიები, სიძეები ს. ლომაძე, ნ. ერქომაიშვილი, რძალი ათინა კაციტაძე, შვილიშვილები ლეილა, თინა, ქეთო, მედეა, ცისანა, მიტო, ზაალ, ომარ, ხათუნა იუწყებიან **ლიზა ანტონის ასულ ჰყონიას** გარდაცვალებას.

შვილები თამარ, ელენე, მირიან, დონარა, ვახტანგ, სიძე ა. ლომთათიძე, რძლები ეკატერინე, ლენა, თამარ შვილებით იუწყებიან, რომ 11-VI, 7 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **სოფიო იოსების ასულ კავკასიძე-ბარნაბიშვილის** პანაშვიდი.

მიხეილ ხუნდაძე ოჯახით იუწყება ბებიის **დომნა დუდუჩავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 11-VI, ს. საჭამიასერში.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების—3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი—3-57-61, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და საბჭოთა მშენებლობისა—3-80-83, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ინფორმაციისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობისა—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 03370